645
1962/2



# საქართველოს ქალი

მაისი
1962 წ. № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა




В. Ульянов (Ленин)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მაისია!

შემოფრინდა მერცხლის ფრთებით,
უბე ვარდით აუვსია,
ჩირაღდანად ანთებული —
მაისია, მაისია!
მთის ჩანჩქერმა ტალღა ქვაზე
დაამსხვრია როგორც მინა,
ეს წარმტაცი სილამაზე
მაისის მზემ გვაპოვნინა.
ჩვენ მშვიდობას ვუმღერთ მუდამ,
ხმა კოსმოსშიც ავიმაღლეთ,
რომ აშენოს მშვიდად კუბამ,
რომ სიცოცხლე ჰქონდეთ ხალხებს!..
ამ ცხოვრების სამადლობელს
სიმღერით და ლხენით ცლიან,
ბაღი ხვავით აგვივსია,
უბე ვარდით აგვივსია,
და დროშებიც ჩურჩულებენ:
მაისია!
მაისია!

ეთერ ჯიშკარიანი

# მაისი

8771

საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

# სახელოვანი 50 წელი

იგი იშვა ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში. დაიბადა იმ წელს, როცა ლენის ოქროს საბადოებზე მეფის ჯალათების მუხანათურმა გასროლამ რუსეთის მუშათა კლასი მეფის ტახტის წინააღმდეგ ახალი იერიშებისათვის დააყენა ფეხზე.

მის აკვანთან იდგა და მის მუშაობას წარმართავდა დიდი ბელადი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

გრძნობდნენ რა გაზეთის ძალას, მეფის მოხელეები სასტიკად დევნიდნენ მას. რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით, «პრავდამ» მისი გამოსვლის დღიდან—1912 წლის 22 აპრილიდან (ახალი სტილით 5 მაისი)—ორი წლის მანძილზე რვაჯერ შეიცვალა სახელწოდება.

და აი, უკვე 50 წელია მთელ მსოფლიოში ქუხს «პრავდის» ცეცხლოვანი სიტყვები. 50 წელია გაზეთი ეწევა დიდი სიმართლის პროპაგანდას, ლენინის დიად მიზანდასახულობათა ხორცშესასხმელად რაზმავს მშრომელებს.

«პრავდის» ისტორია განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიასთან, ჩვენი პარტიული პრესის დიდებულ ტრადიციებთან.

განუზომელია «პრავდის» დამსახურება რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების ორგანიზაციის, რევოლუციური მარქსიზმის საფუძველზე პარტიის რიგების შემჭიდროებისა და განმტკიცების, ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობისათვის ბრძოლის საქმეში. «პრავდამ» უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

«პრავდის» ენა ჩვენი პარტიის ენაა, ამ ენით მოუწოდებს და რაზმავს იგი მშრომელ მასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, დიადი მომავლის—კომუნიზმის ასაშენებლად, ხალხთა ბედნიერებისა და მშვიდობისათვის საბრძოლველად.

დღეს 6 მილიონზე მეტი ეგზემპლარი ტირაჟით გამოდის «პრავდა», მის ხმას მთელი გულისყურით უსმენენ მილიონობით ადამიანები დედამიწის ყველა კუთხეში. ეს გაზეთის მაღალი ავტორიტეტისა და პოპულარობის მაჩვენებელია.

«პრავდის» 50 წელი კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ზეიმია, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ზეიმია.



# [illegible]



3ის შეუძლია დაივიწყოს 1941 წლის ივნისის დღეები, როცა ჩვენს ქვეყანაში დაინგრა პირველი ქალაქი, როცა საზღვრისპირა რაიონებიდან ევაკუირებული ბავშვებითა და ქალებით სავსე პირველი ვაგონები გამოჩნდა და ჰოსპიტლებმა პირველი დაჭრილები მიიღეს; დღეები, როცა ფრონტისკენ დაიძრა პირველი ეშელონები...

და გაზეთებმა დილის და საღამოს ოპერატიული ცნობების ბეჭდვა დაიწყეს; გაზეთები მოგვითხრობდნენ ფრონტის ამბებს, ზურგის ამბებს; გაზეთები ყვებოდნენ საბჭოთა ადამიანების გმირულ შემართებაზე.

იმ მრისხანე წლებში საქართველოში ყველამ გაიცნო ნინო მშველიძე, რადგან მაშინ მხოლოდ ომზე ფიქრობდნენ და ნინო გაზეთ „კომუნისტის" სამხედრო განყოფილებას განაგებდა.

მაშინ ადამიანებს ესაჭიროებოდათ გამხნევება და ნინო წერდა, რომ ათასობით და მილიონობით ადამიანი თავს სწირავდა მათ დასაცავად. მაშინ ადამიანებს ესაჭიროებოდათ ენთუზიაზმი და ნინო აღაფრთოვანებდა მათ თავისი წერილებით ალ. წურწუმიაზე, მ. დიასამიძეზე, ი. ციციშვილზე, ე. ტატანაშვილზე, ა. გოდერძიშვილზე.

ნინო რედაქციაში ათენებდა. სამხედრო განყოფილება ყოველთვის ფხიზლობდა. ნომერი დილით საინფორმაციო ცნობას ელოდებოდა. ინფორმაციას დილის 8 საათზე გადმოსცემდნენ. ცხრა საათზე კი ახალი სამუშაო დღე იწყებოდა. ვინც მაშინ „კომუნისტში" მუშაობდა, ალბათ, ვერც მოიგონებს, როდის ეძინათ.

ცნობებს ქართველი მეომრების შესახებ უმეტეს შემთხვევაში საველე გაზეთებიდან იღებდნენ. უამრავი კორესპონდენტები ჰყავდათ ფრონტზე. ფოსტას გვიან, ძალიან გვიან, მაგრამ მაინც მოჰქონდა ფარატინა ქაღალდზე დაწერილი წერილები.

„გამარჯობათ, პატივცემულო ნინო! მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი ცნობა, რომ ჩემთვის გამოგიწერიათ გაზეთი „კომუნისტი". არ შემიძლია წერილით გადმოგცეთ ის უდიდესი აღფრთოვანება, რომელიც მე განვიცადე... დიდად კმაყოფილი ვართ ყველანი. გთხოვთ მიიღოთ მადლობა... ჩვენ, აქ მყოფი ქართველები არ შევარცხვენთ ჩვენი ხალხის გმირულ ტრადიციას... ვიბრძოლებთ... ბოლშევიკური სალამით..." —მოდიოდა ასეთი წერილებიც.

ალბათ, სადღაც, ნაღმით ამოთხრილ მიწაყრილთან ჩამოჯდებოდა ქართველი მეომარი და „კომუნისტში" ამოიკითხავდა გვარს — ნინო მშველიძე. მერე ამ უცნობი ნაცნობისაგან მიიღებდა „კომუნისტის" ნომრებს და მშობლიურ ენაზე პატარა წერილს:

„ძვირფასო მეგობარო! „კომუნისტის" რედაქცია გიგზავნით ჩვენი გაზეთის ნომრებს, გისურვებთ წარმატებას, გართმევთ ხელს... მოიწერეთ.

ნ. მშველიძე."

და ნინო ასწორებდა დღესა და ღამეს. მაშინ ისწავლა მან სიცოცხლისა და სილამაზის, მწუხარებისა და ცრემლის ფასი. უკვე ღიმილით ფიქრობდა იმ მწუხარებასა და სიხარულზე, რაც ომამდე მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

მაშინ ისწავლა მან წარსულზე ფიქრიც; იმ უძილო ღამეებში, კორესპონდენციების მოლოდინში გატარებულ ღამეებში, იგონებდა ნინო ყვარელსა და მასთან დამშვიდობებას, უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე ჩარიცხვას, იგონებდა იმ დღეებს, როცა საქძესში დაიწყო მუშაობა, ერთხელ დავალება რომ მიიღო და მასალის ასაღებად წავიდა, სირცხვილის გრძნობამ დასწვა — გაუჭირდა პირველი ინფორმაციის დაწერა... მერე საქძესის ხელმძღვანელობისაგან ბევრჯერ მიიღო მადლობა კარგი ინფორმაციისათვის. რამდენი სიხარული იყო, რა დიდი სიხარული!

მაგრამ რა შეედრებოდა იმ სიხარულს, პირველი სალუტი რომ გაისმა ჩვენი ჯარების მოსკოვთან გამარჯვების აღსანიშნავად, ან, როცა რადიომ ლენინგრადის ბლოკადის გარღვევა გამოაცხადა, ან, როცა ვოლგის ციხე-სიმაგრის, სევასტოპოლის, კავკასიის დღეები დადგა, როცა დაიწყო ბრძოლები ვოლგასთან და ოდერზე, როცა „კომუნისტის" გვერდებზე დიდი ასოებით იწერებოდა: გამარჯვება მოდის!

და მერე...

— მოგილოცავთ გამარჯვებას, ამხანაგებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა თითქოს ახალი თვალით ვუცქერით განვლილს, ახლებურად განვიცდით წარსულს. სიხარულით და სიამაყით ვიგონებთ, რომ მივეცით ფრონტს ყველაფერი, რაც მას სჭირდებოდა...

„დღეს უფრო ძლიერად ვგრძნობთ სიცოცხლის სილამაზეს. დღეს ერთიასად გვახარებს ლურჯი ცა, სექტემბრის მზე, შრიალა ტყე, მომკილი ყანა და ყურძნის მტევანი, მტკვრის დუდუნი და ბავშვების სიცილი. ყველაფერი ეს ჩვენი იყო და ჩვენია. ყველაფერი ეს ჩვენ დავიცავით ჩვენი სისხლით, ჩვენი ოფლით, ჩვენი ბრძოლითა და შრომით, ყველაფერი ეს ათასჯერ ძვირფასი გახდა ჩვენთვის.

— წერდა გაზეთი „კომუნისტი“ სტატიაში — „ბრძოლათა და გამარჯვებათა ოთხი წელი“. სტატიას ნინო მშველიძე აწერდა ხელს.

დამთავრდა დიდი სამამულო ომის გმირული ეპოპეა. სადგურებზე ყვავილებს უფენდნენ გამარჯვებულებს. ნინო მთელ თავის დაგუბებულ აღტაცებას გამოხატავს წერილებში: „გამარჯვება“ და „დაბრუნების სიხარული“.

ნ. მშველიძე იყო ის ჟურნალისტი, რომელმაც აღმოაჩინა ბრესტში ჩამოხრჩობილი ქართველი დედა მარიამ ინაშვილი... წავიდა ბრესტში, თავისი თვალით ნახა სახლი, სადაც ცხოვრობდა მარიამი, ციხე, სადაც ის აწამეს, ხე, რომელზეც ჩამოახრჩვეს... ნახა ადამიანები, რომლებიც იცნობდნენ მას... ნინოს წერილმა „დედა“, რომელიც 1945 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“, ერთხელ კიდევ აალაპარაკა მკითხველი. ამ თემას ვერ მოსცილდა შემდეგაც და მარიამ ინაშვილზე მოზრდილი წიგნი დაწერა.

ნინო მშველიძეა ერთ-ერთი იმ ჟურნალისტთაგანი, რომლებმაც ქართველი გმირების ცხოვრებაზე ციკლები შექმნეს. მას ეკუთვნის შესანიშნავი ნარკვევი ჭიჭიკო ბენდელიანზე. ეს ნაწარმოები ნარკვევის ფარგლებს გასცდა მხატვრულობით, კომპოზიციით, წერის მანერით. ნინოს ეკუთვნის ილია ერენბურგის რომანის „ქარიშხალის“ ქართული თარგმანიც.

რომელ ჟურნალისტს არ შეშურდება მისი ამტანიანობა. ომის შემდეგ საბჭოთა მშენებლობის განყოფილებას ედგა სათავეში. კვირაობით არ გადიოდა რედაქციიდან ომისშემდგომი პირველი საარჩევნო კამპანიის დროს... მერე საინფორმაციო განყოფილებას განაგებდა...

შრომისმოყვარეობა და მახვილი თვალი, დაუშრეტელი ენერგია და პირდაპირობა, გულისხმიერება, სწრაფი ალღო, უნარი ერთსადაიმავე დროს იყოს კარგი მთარგმნელი, ნარკვევების ოსტატი, რეპორტიორი, ინფორმატორი — აი, ნინოს თვისებები.

დღეს ნინო პენსიონერია, მაგრამ მას შემორჩა ძველი თვისებები და უსაზღვრო სიყვარული ჟურნალისტური საქმიანობისადმი, ამიტომაც არ ისვენებს მისი კალამი.

ცისანა ჟორჟოლიანი

# ღიმილი თუ წიგნები?

დილიდან სალამომდე ვის არ დაინახავთ აქ?.. შემოდიან მეცნიერი მუშაკები, პედაგოგები, სტუდენტები, მოსწავლეები, მუშები. შემოდიან და ათვალიერებენ თაროებს, სადაც აწყვია სხვადასხვაფერ ყდაში ჩასმული წიგნები — თეთრი, მეწამული, ცისფერი, იისფერი...

— ვახტანგ კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია“ გაქვთ?

— არის.

და დახლიდან თაროსაკენ გაცურდება საშუალო ტანის გოგონა.

— ინებეთ.

შუახნის მამაკაცი ხელში იღებს წიგნს, შლის, თავფურცელსა და ბოლოფურცელს გულდასმით ათვალიერებს, ხურავს, ყდას უსინჯავს სიმაგრეს, იხდის ფულს და ნასიამოვნები წიგნს თავის მუქი ფერის პორტფელში დებს. მის სახეზე კმაყოფილება აღბეჭდილა და იგი მსუბუქი ნაბიჯით მიეშურება კარებისაკენ.

მომხმარებლებს ერთი მეორეზე მიაქვთ ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომი, შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“ და სხვა.

გამყიდველი გოგონა კი გადადის დახლიდან თაროსკენ, თაროდან დახლისკენ. ვინ იცის, დღეში რამდენ კილომეტრს კეცავს ამ სიარულში!

— ხომ არ გაქვთ ლექსები სკოლამდელთათვის?

— არა, — დაბალი ხმით პასუხობს გოგონა და ერთგვარი უხერხულობის გრძნობა იხატება მის სახეზე... შავკაბიანი, ოდნავ ჭაღარათმიანი ქალი კი სინანულით ტოვებს მაღაზიას. რას იზამ! არის ზოგჯერ ასეთი მხარაუბმელი, აუწყობელი დიალოგებიც, მაგრამ ამაში ის როდია დამნაშავე. რაც მოაქვთ ყიდის, ძალღონის დაუზოგავად ეწევა წიგნების პოპულარიზაციას.

აქ მხოლოდ ერთი წიგნი არ იყიდება, მასში მყიდველებს შთაბეჭდილებანი ჩაუწერიათ.

„განსაკუთრებით მიხარია ამ მაღაზიაში შემოსვლა. აქ საჭირო წიგნებს ხშირად ვხვდები“ — კმაყოფილებით აღნიშნავს უნივერსიტეტის ასისტენტი ჯ. ჯანელიძე.

„თინა! იცოცხლე იმდენ წელს, რამდენი ასოც ამ წიგნშია, რომელიც ახლა მე შენი უშუალო დახმარებით შევიძინე“.—ხუმრობით, მაგრამ მადლობის გრძნობით წერს გამყიდველის მისამართით მ. დავითური.

ეს გამყიდველი გოგონა თინა შიშინაშვილი გახლავთ, რომელმაც 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი და „საქწიგნის“ № 5 მაღაზიაში დაიწყო მუშაობა.

წიგნების სიყვარულმა მიიყვანა თინა დახლთან. წიგნების სიყვარულმა შესძინა უამრავი ნაცნობი. თუნდაც ეს ბიჭუნა, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“ რომ იკითხა, ძალიან ხშირად შემოდის აქ და ახალი წიგნები მიაქვს.

თინა ამჟამად უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე სწავლობს დაუსწრებლად, III კურსის სტუდენტია. ის, როგორც კულტურის ფრონტის მოწინავე მუშაკი, მაღაზიის კომკავშირის ორგანიზაციის მდივნადაც აირჩიეს, ხოლო შარშან თბილისში ჩატარებულ წიგნით ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე. თინა შიშინაშვილი მოიხსენიეს, როგორც წიგნის აქტიური, სამაგალითო პროპაგანდისტი...

...შემოდიან მყიდველები, შემოდიან, ჩერდებიან დახლთან, ათვალიერებენ თაროებს, ირჩევენ საჭირო წიგნს, ყიდულობენ.

— ტერენტი გრანელის ლექსები! — ამბობს ახალგაზრდა და დახლს ეყრდნობა.

თინა არც კი იხედება თაროსკენ, ისე იღებს წიგნს და დახლთან მოდის.

— როგორ ზეპირად გცოდნიათ, სად რა წიგნი გაქვთ, — ხუმრობს ჭაბუკი.

თინას ლოყები ეფაკლება და ჭაბუკს აწვდის წიგნსა და ღიმილს.

და ვინ იცის, რა უფრო იზიდავს მყიდველებს: თინას თავაზიანი ღიმილი თუ წიგნები?

გ. შეთეკაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იბადება წიგნი

ჩემს წინ იდგა საშუალო ტანის ქალიშვილი. ის მანქანაზე დახრილიყო და დაკეცილ ფორმებს იღებდა.

— ჩვენი ლაურა მხოლოდ 24 წლისაა. თავისი მუყაითობითა და ამხანაგებისადმი გულთბილი დამოკიდებულებით საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს, — მითხრა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა. — საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ყოჩაღია; პარტბიუროს წევრია, ხელმძღვანელობს აგიტაცია-პროპაგანდის სექტორს, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატია და ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატი. ლაურა თვითმოქმედების წრეშიც მუშაობს, განსაკუთრებით უყვარს სიმღერა. გიკვირთ? ისიც უნდა დავსძინო, რომ ჩინებულად ჩააბარა გამოცდები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და დაუსწრებლად სწავლობს...

საამკინძაო საამქროში ქალიშვილები ხელების სწრაფი, მოხდენილი მოძრაობით აწვდიდნენ მანქანებს დაკეცილ ფორმებს. იკინძებოდა წიგნი... მანქანების ცალ მხარეს ეწყო ასაკინძად გამზადებული დაკეცილი ფორმები, მეორე მხარეს კი სწორკუთხედად ელაგა აკინძული წიგნები.

ლაურამ შემოგვხედა, გაგვიღიმა, და როცა გაიგო, რომ მასთან საუბარი გვსურდა, ფორმები სასწრაფოდ დააწყო, მანქანა გამორთო და შემოგვიერთდა.

ლაურას მანქანასთან იმწამსვე გაჩნდა ოსტატი ქიტოშვილი და აამუშავა.

— ყოველთვის ასე იცის ოსტატმა, როცა რამეზე დამიძახებენ, ჩემს მანქანასთან დგება და რამდენხანსაც არ უნდა ვიყო დაკავებული, მანქანას არ გამორთავს, უქმად არ დააყენებს, — მითხრა ლაურამ.

ვთხოვე თავის შესახებ ეამბნა.

მანავის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ნათესავთან სტუმრად ჩამოსულა, დაუთვალიერებია თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, ნათესავს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატშიც მოუყვანია.

— ყველა საამქრო დამატარა, — ამბობს ლაურა, — წიგნის დაბადების თითქმის მთელ პროცესს გავეცანი, განსაკუთრებით კი საამკინძაო საამქრომ მიმიზიდა. მე ხომ ადრე წარმოდგენაც არ მქონდა როგორ კეთდებოდა წიგნი. ასე მეგონა ყველა გვერდს სათითაოდ ჩაბეჭდავდნენ, — თქვა და თითქოს თავისი უწინდელი არცოდნისა რცხვენიაო, უფრო გაწითლდა.

მოწაფედ მიმიღეს. პირველად, სანამ შრომის პროცესს მივეჩვეოდი, მიძნელდებოდა მუშაობა. 5 თვის შემდეგ კი სავსებით დავეუფლე ამ საქმეს, დამოუკიდებლად დავდექი მანქანასთან. როცა ფორმების საკეცი ახალი მანქანები მოიტანეს, დავინტერესდი და ამ მანქანასაც დავეუფლე.

მოწაფეებიც მყავდა. ახლა ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ, აი, მაგალითად, ჟუჟუნა რაზმაძე, ლეილა დიასამიძე და სხვები...

რაც შეეხება წიგნისადმი სიყვარულს, უნდა გითხრათ, რომ წიგნი ბავშვობიდანვე დედამ შემაყვარა. დედა პედაგოგია — ფილოლოგი... მაგრამ რაც აქ დავიწყე მუშაობა, წიგნის სიყვარული უფრო გამიასკეცდა. წიგნს ახლა სულ სხვა თვალით ვუყურებ... ვიცი, სანამ წიგნი მზა სახით მკითხველამდე მივიდოდეს, ძალიან რთული და ძნელი გზა აქვს გასავლელი: ავტორის უძილო ღამეები, რედაქტორის გულითადი და სათუთი მუშაობა, კორექტორების კირკიტი, ასოთამწყობების, მბეჭდავების, მკეცავების, მკინძავების და სხვათა უდიდესი ჯაფა... სწორედ ამიტომაა, რომ წიგნს უწინდებურად არ ვუყურებ, განსაკუთრებული სიფაქიზით ვუვლი, რადგან ვიცი, რაოდენ დიდი ზრუნვა და სიყვარულია ჩაქსოვილი თვითეულში.

... მანქანები ისევ გრიალებენ, დაკეცილი, აკინძული ფორმები ფორმებს მისდევენ და იბადება ასობით წიგნი, ლაურა გურჯიძესავით ენერგიული ახალგაზრდების მუყაითი შრომის შედეგად.

მერი ტყემალაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პიონერული ორგანიზაცია 40 წლისაა!

# „მზად ვარ"






მას არც დედა ახსოვს, არც მამა. სიზმარივით აგონდება მხოლოდ, სასაფლაოდან რომ ხელში აყვანილი წამოიყვანა მეზობლის ქალმა და დიდხანს, ძალიან დიდხანს ანუგეშებდა — დედიკო და მამიკო მალე მოვლენო. მაგრამ ლოდინს ბოლო არ უჩანდა... ძლივსძლივობით აგონდება მშობლიური სოფლის, ნავარძეთის მთა-გორები, მისი ლამაზი მინდორ-ველი, დაკლაკნილი ორღობეები, კოპწია ბაღჩა-ბაღები, ჭიათურის ციცაბო გორიზი კლდეები, შავად მოთუხთუხე მდინარე ყვირილა, რომლებსაც სულ პატარა მოაცილეს და თბილისისაკენ წამოიყვანეს.

უდედმამო გოგონა ჯერ კეთილმა ნათესავებმა შეიფარეს, შემდეგ კი უფროსმა ძმამ საბავშვო სახლში მიაბარა. იქ პოვა თბილი და მშობლიური ბინა.

სოფიკოს გუშინდელივით ახსოვს საბავშვო სახლსა და სკოლაში გატარებული დღეები, პირველი აღმზრდელები — არკადი ხუნდაძე, ნინო ნინოშვილი, თამარ გერსამია, სოფიო ფხალაძე და სხვები; კარგად ახსოვს პიონერულ ორგანიზაციაში მიღება, წითელი ყელსახვევი, შემდეგ ბეჯითი სწავლა, პიონერული რომანტიკით გატაცება, კომკავშირული წრთობა, სპორტული შეჯიბრებები, პირველი წარმატებები.

...1929 წელი. გაზაფხული. მოსწავლე ახალგაზრდობაში ელვისებურად გავრცელდა სასიხარულო ცნობა პიონერთა სრულიად საკავშირო პირველი შეკრების მოწვევის შესახებ. სკოლებში, პიონერულ ორგანიზაციებში, რაზმებსა და რაზმეულებში გაჩაღდა მზადება შეკრების ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ დიდ მოვლენას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის პიონერთა პირველი შეკრება. თბილისის მე-14 შრომის სკოლის პიონერულმა კოლექტივმა ამ შეკრებაზე დელეგატად წარგზავნა V კლასის წარჩინებული მოსწავლე, სამაგალითო ყოფაქცევის პიონერი სოფიკო კევლიშვილი. შეკრებამ, რომელიც მიმდინარეობდა თბილისში, აირჩია საკავშირო შეკრების დელეგატები, რომელთა შორის იყო სოფიოც.

ენით გამოუთქმელმა სიხარულმა შეიპყრო 14 წლის გოგონა... მართლაც, რა უნდა ყოფილიყო მისთვის იმაზე სასიხარულო, ვიდრე პიონერთა პირველ საკავშირო შეკრებაში მონაწილეობის მიღება, დიდი მოსკოვის ნახვა! და აი, სანატრელი დღეც დადგა, 11 აგვისტოს სპეციალური მატარებელი, რომელიც ამიერკავკასიის პიონერ-დელეგატებისათვის იყო განკუთვნილი, ნელი სვლით გავიდა თბილისის სადგურიდან. მატარებელს, რომელიც 11 ვაგონისაგან შედგებოდა, ორივე მხარეზე ჰქონდა წარწერა „ამიერკავკასიის პიონერები მივემგზავრებით მოსკოვში საკავშირო შეკრებაზე". მგზავრობის მთელ მანძილზე ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა მჩქეფარე პიონერული ცხოვრება. მატარებელში ეწყობოდა შეკრებები, უშვებდნენ კედლის გაზეთს.

მოსკოვმა წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვა, როგორც ყველა დელეგატზე, ისე სოფიოზეც. ქართველ პიონერებს ბინა მიუჩინეს ბაუმანის რაიონში.

18 აგვისტოს „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა შეკრება. იქ იყვნენ რუსი, უკრაინელი, ქართველი, ტაჯიკი, აზერბაიჯანელი და ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ერის შვილები. სოფიო კევლიშვილი სხვებთან ერთად გულისყურით ისმენდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა გამოსვლებს, ვლადიმერ მაიაკოვსკის მგზნებარე ლექსს, რომელიც მან შეკრების მონაწილეებს მიუძღვნა.

შეკრების შემდეგ მოეწყო პიონერთა სრულიად საკავშირო კონფერენცია, სადაც განიხილავდნენ საბჭოთა კავშირში პიონერული მოძრაობის მდგომარეობასა და ამოცანებს. ერთ-ერთი სექციის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ს. კევლიშვილი. მან მეგობრებს მოუთხრო თავისი მშობლიური სკოლის პიონერული ორგანიზაციის საქმიანობაზე, სწავლასა და შრომაში მოპოვებულ წარმატებებზე.

და ამას მოჰყვა ბავშვთა საერთაშორისო კონგრესი, დიდი ლენინის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ნადეჟდა კრუპსკაიას გამოსვლა, მისი გულში ჩამწვდომი სიტყვები, გულთბილი შეხვედრები საბჭოთა არმიის მეომრებთან, საწარმო-დაწესებულებისა და ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებთან, სამახსოვრო საჩუქრები, კვლავ „დინამოს" სტადიონი, ზეიმი, შეკრების ალმის დაშვება, მეგობრებთან დამშვიდობება...

ხუთიოდე თვის შემდეგ მოსკოვიდან სოფიო კევლიშვილის სახელზე ბარათი მოვიდა. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნორჩ პიონერთა კომუნისტური ორგანიზაციის ბიურო საკავშირო შეკრების ყოფილ დელეგატს ეკითხებოდა, რას აკეთებენ ის და მისი ამხანაგები შეკრების შემდეგ ნ. კ. კრუპსკაიას სიტყვის საპასუხოდ, რა იყო ახალი მათ მუშაობაში. სოფიოს და მის მეგობრებს სათქმელი და მისაწერი ბევრი ჰქონდათ, პასუხი არ დაუყოვნეს და მოსკოველ ამხანაგებს უპატაკეს, რომ ისინი დღითი-დღე აძლიერებენ ბრძოლას მეცნიერების საფუძვლების ღრმად დაუფლებისათვის, აწყობენ შაბათობებს ზაჰესის მშენებლობის ტერიტორიაზე, იბრძვიან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, ამწვანებენ მეზობელ ფაბრიკა-ქარხნების და სკოლების ტერიტორიებს, ქუჩებსა და სანაპიროებს...

მას შემდეგ 30 წელზე მეტი გავიდა. პიონერულ ორგანიზაციაში აღზრდილმა ქალიშვილმა ბეჯითი სწავლითა და შრომით გაიკვლია ცხოვრებაში გზა. სოფიო კევლიშვილმა წარმატებით დაამთავრა საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი, გახდა დიადი კომუნისტური პარტიის წევრი და დღეს ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკია პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ გამგეობაში.

ახლა, როცა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაცია ზეიმით აღნიშნავს თავისი არსებობის სახელოვან 40 წლისთავს, სოფიო კევლიშვილი მღელვარებით იგონებს მოსკოვში, პიონერთა სრულიად საკავშირო პირველ შეკრებაზე გატარებულ დღეებს და ალისფერყელსახვევიან პიონერებთან ერთად, თვითონაც ძველებურად იმეორებს: „კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად — მზად ვარ!"

ა. ასანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერთა სასახლე

ალბათ, ეს კარი უწინ თქვენც შეგიღიათ...

თუ კი ახლა, ამ ხეივანში უნებურად შეანელეთ ნაბიჯი.

თუ კი მზერა ვერ მოსწყვიტეთ შენობის ფასადთან მოფარფატე მტრედებს.

აქ ამ ხეივანში ჩერდებიან და იგონებენ ძალიან ბევრნი. ბევრი თაობა.

ორი ათეული წლის წინ ჩაიბარეს ეს შენობა ალისფერყელსახვევიანმა პიონერებმა და მის შემდეგ ვინ მოსთვლის, რამდენმა გაიხადა ის თავისი ბავშვური ოცნების სასახლედ.

გადის წლები და—«ამ საბუდარში გატარებული დრო დარჩება ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილ და უსაყვარლეს მოგონებად»,—წერენ შემდეგ.

ასეთი ჩანაწერებითაა სავსე პიონერთა სასახლის არაერთი ალბომი და ხელს აწერენ ყველასათვის ცნობილი მხატვრები, კომპოზიტორები, მათემატიკოსები, ბიოლოგები, კონსტრუქტორები...

ეროვნული ბიბლიოთეკა



აქ ახლა ჩვენსავით სწავლობენ, ჩვენსავით ფიქრობენ და ოცნებობენ სხვები. ჩვენი სასახლე კი გაიზარდა და დაჭარმაგდა.

უკვე მუსიკალური ათწლედი ჩამოყალიბდა წინანდელ მუსიკალურ წრეების ნაცვლად.

ახლა მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ სასახლის ნორჩ ქორეოგრაფებს.

შეიქმნა გოგონების და ბიჭების გუნდები.

მალე ვნახავთ ახალ პიონერულ ესტრადას, ბავშვთა სიმფონიურ ორკესტრს·

იქნებ სულ მალე საბავშვო ოპერაც კი მოვისმინოთ პიონერთა სასახლეში.



აქ, ამ კედლებში მოვიდა მათთან ის სიყვარული, რომელმაც შემდეგ განსაზღვრა მათი—ადამიანის, შემოქმედისა და მოქალაქის ბედი. აქ გაირჩა მათი პირველი ლექსი, პირველი ნახატი, აქ გააფრინეს მზისკენ პირველი ავიომოდელი.

ახლა კი აქ მათსავით ღელავენ და ოცნებობენ სხვები.





ამ კაბინეტში ჩვენ არ გვისწავლია — ის მხოლოდ ხუთი წლის წინ გაიხსნა. ორასორმოცდაათი გოგონა უნდა გახდეს ჩინებული დიასახლისი. კულინარული საამქრო, თოჯინის მოვლა-პატრონობისა და ხელსაქმის წრეები მსურველებს ველარ აუდიან.

წელს კაბინეტთან გაიხსნა «პიონერული სამკერვალო ატელიე», რომელიც დაკვეთებს ღებულობს საბავშვო ბაგის აღსაზრდელთა წინსაფრებზე. ატელიეს მკერავებიც პიონერები არიან და დირექტორიც.

არ გაინტერესებთ პიონერული ატელიეს ნახვა? ასეთი ატელიე ხომ სხვაგან არსად არის!





და ისე ფართოდ გაიშალა მუშაობა, რომ უკვე სივიწროვეა კაბინეტებსა და ლაბორატორიებში.

და კიდევ ახალ დარბაზებს, ახალ კაბინეტებს მოელიან დედაქალაქის პიონერები.

...ჩვენ კი ნაბიჯს ვანელებთ ამ ხეივანში და გული გვწყდება.



ნორჩ ნატურალისტებს და ბიოლოგებსაც ბევრი საქმე ექნებათ ზაფხულში. ჯერჯერობით კი სასახლის ბაღს და კრწანისის სასწავლო ნაკვეთს დასტრიალებენ. მშვენიერია მათი ხელით მოვლილი დეკორატიული პარკი, მათი ხეხილი, მათი ვენახი და ბოსტანი. ქალაქში გაზრდილი ბავშვებიც იგებენ რას ჰქვია მიწის სიყვარული.



ნორჩი მხარეთმცოდნეობის კაბინეტში ტურისტული ლაშქრობების მარშრუტს ეცნობიან; ახლოა ზაფხული -- პიონერული ლაშქრობებისა და ტურისტული მოგზაურობის დრო. წელს მთათუშეთისაკენ გაემართებიან ნორჩი ტურისტები. ალპინისტები უშბაზე გამართავენ «მეგობრობის ბანაკს».

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პირველი მაყრობა

მოთხრობა

მხატვარი მ. ბერძენიშვილი

დეკემბრის მოწმენდილი ღამეა... ჯერ არ მოუთოვია, მაგრამ ისეთი სიცივეა, რომ მთელი ტანით მაკანკალებს, ასე მგონია, ჩემსავით აკანკალებს საყორნიას მთაზე გადმოგორებულ ბდღვიალა მთვარეს, შორი-შორს გაფანტულ ვარსკვლავებს, სიფრიფანა ღრუბლების ფთილებს და სოფელში გაბნეულ ელნათურებს. ჩვენს წინ ახლად ხრეშმოყრილ შარაგზაზე „ვოლგები“ მისრიალებენ, მაყრებით დატვირთული ცისფერი და იისფერი „ვოლგები“. მეც მაყარი ვარ და სუროსფერ „ვოლგაში“ ვზივარ... მიხარია, პირველად ვარ მაყრად... ეს ჩემი პირველი მაყრობაა და ამიტომ მიხარია...

საშუალო სკოლა ისე დავამთავრე, რომ მაყრად არ ვყოფილვარ. ჩვენს სოფელში შემოდგომა ისე არ გავიდოდა, რომ ათითხუთმეტი ქორწილი არ გადაეხადათ, მაგრამ მე არ მკადრულობდნენ მაყრად. რა ბავშვების საქმეა მაყრობაო. განსაკუთრებით დედაჩემი მიწევდა წინააღმდეგობას: — ვიღაცას შენი სიმსხო და სიმაღლე მოატყვილებს, ღვინის მსმელი კაცი ეგონები, ამ თოთო ბაღანას ღვინოს დაგაძალებს და გულს გაგიფუჭებსო. მაყრად მოწიფული კაცები წაიყვანონო, — იტყოდა და ხელებს გაასავსავებდა და მაყრობა საოცნებოდ გამიხადა...

დღეს ამისრულდა ეს ოცნება. ხვალ-ზეგ მეც ნამაყრალი ვიქნები და ჩემს ტოლებში დავიტრაბახებ:—მთელ ღამეს კაკაბივით ვიყავი, ისე დავათვრე ალავერდი, რომ ყალიონი ბუხარზე მივაყუდებიე-მეთქი.

დედამ ძალიან გაიბრძოლა: — არ წაიყვანოთ ჩემი ბიჭი, არ დამიღუპოთო, — მაგრამ ვერაფერს გახდა.

საქმე ის იყო, რომ დედოფალმა დაიჩემა ჩემი მაყრად წაყვანა. მე და ლამარამ გასულ წელს დავამთავრეთ საშუალო სკოლა. პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით. ლამარა ცხოვრებაში ჩქარი იყო და გაბედული..., დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, მეზობელი სოფლელი ბიჭი, არსენა მეწისქვილის შვილი შეუყვარდა. მაგრამ სიყვარული ხელს როდი უშლიდა შრომაში. ის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელად დააყენეს და მისი ბრიგადა არავის უთმობდა გარდამავალ წითელ დროშას. მარტო ლამარამ წელს ათი ტონა ჩაი მოკრიფა, ჰოდა, ათტონიანი ჩაის მკრეფავი არც ისე ბევრია ჩვენს რაიონში. ამასთან, მთავარი მოკრიმანჭულეც იყო ჩვენი კოლმეურნეობის მომღერალთა გუნდის — „შვიდკაცასი“, რომელმაც წელს სარაიონო დათვალიერებაზე პირველი ადგილი მოიპოვა; რეჟისორობდა დრამატულ წრესაც. ჩვენი კუთხე-მეზობლობის მაცოცხლებელი ძარღვი იყო. ამიტომ იყო, ჩვენს სოფელს რომ ენანებოდა მისი ხელიდან გაშვება.

ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბიძაჩემი, როხროხა ნიკიფორე გაიძახოდა:

— არა, ბატონო... სხვას რომ თავი დავანებოთ, ათტონიან ჩაის მკრეფავს ვერ გავუშვებთ ხელიდან. თუ მაინც და მაინც გათხოვება უნდა, ჩვენს სოფელში გათხოვდეს და ის იქნება. აქაც ბევრია კარგი ბიჭებიო.

მაგრამ ლამარას სიყვარულმა სერიოზული ხასიათი მიიღო.

სოფელი ალაპარაკდა. შეიქმნა მითქმა-მოთქმა. ერთ დღეს, როცა ლამარა მეორე სოფელში ესტუმრა ბიძაშვილს, რომლის მეზობლადაც ცხოვრობდა მისი შეყვარებული, ჩვენს სოფელში ხმა გავარდა:

„მოიტაცეს ლამარაო
ჩითის კაბის ამარაო“.

შეიქმნა ერთი გადაძახება-გადმოძახება. ლამარას მამა სერაპიონი თავს იკლავდა.

საბედნიეროდ, ლამარა თავის ბიძაშვილთან აღმოჩნდა.

— ხალხს პირს ვერ ავუკრავთო, — ხელი ჩაიქნიეს ლამარას მშობლებმა და გადაწყვიტეს მისი გათხოვება, თუმცა სერაპიონი წუნობდა ლამარას რჩეულს.

და აი, მიგვყავს დედოფალი, ოცდახუთი რჩეული მაყარი მივაცილებთ. მაყრად წამოსული ლამარას გუნდი „შვიდკაცა“ შეწყობილად მღერის: „ქალი მოგვყავს ნათელიო, გაგვინათეთ სანთელიო“. შვიდი „ვოლგა“ ჰკვეთავს შუაღამის სიბნელეს. ყველაზე უკან ჩვენ მოვსრიალებთ... მე ხომ მაყარი ვარ!.. სიხარულით ადგილზე ველარ ვეტევი. სანახევროდ ფეხზე ვარ წამომდგარი და მინდა გავფრინდე, ყველას გავასწრო. ჩემთან ზის ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბიძაჩემი ნიკიფორე და ბუღალტერი ალექსანდრე. საჭეს ტრაქტორისტი ლეონიდე მართავს. ნიკიფორეს ჩააბარა ჩემი თავი დედაჩემმა — მისი იმედი აქვს. ისინი შემთვრალები არიან, მე კი წვეთიც არ დამილევია. საქმე იქ არის, სასიძოსას, იქ უნდა ვივარგო და ამიტომ შემოვინახე თავი... ჩვენში მაყრების დათრობა სასახელოდ მიაჩნიათ. ქორწილის მეორე დღეს, როცა მთვრალ მაყრებს დაინახავს გახარებული მასპინძელი, წამოიმღერებს:
— ღვინო კი მაქვს საქებიო, კისრით მიდის მაყრებიო...

მთვრალ მაყრებს კი ნიშნის მოგებით დასცინებენ:—გახდით ყველა მაყარიო, გულზე შემოსაყარიო...

თოფების და მაშხალების ბათქი-ბუთქით მიგვიღეს სასიძოსას. ზედიზედ გასროლილი მაშხალები ისე ანათებდნენ შარაგზას, შუკას, სასიძოს ვრცელ ეზოს და ორსართულიან სახლს, რომ მიწაზე დავარდნილი ნემსის დანახვაც კი შეიძლებოდა.

დიდის ამბით შეგვიყვანეს საქორწილო დარბაზში. სუფრაზედაც ნიკიფორეს გვერდით მოვხვდი და გული გამიმაგრდა: ღვინის სმაში რომ გამიჭირდეს, ბიძაჩემი დამეხმარება — ხარივით სვამს ღვინოს.

პირველ თამადად იქაური კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილი დააყენეს... არჩილმაც აავსო გრძელი ყანწი, ნეფედედოფალი ადღეგრძელა და ალავერდი ბიძაჩემს დააჯახა.

მეორე თამადამ, კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ავთანდილმა სასმისი მე გადმომიგზავნა. ალბათ, იფიქრა: ნიკიფორეს გვერდით რომ ზის, დიდი ღვინის მსმელი იქნებაო.

— არჩილ, კი გვაჯობე, ათტონიანი ჩაის მკრეფავი კი წაგვართვი, მაგრამ... — ალაპარაკდა ნიკიფორე... — მაგრამ, იცოდე სესხი და ვალია... გადაგიხდით სამაგიეროს, როცა იქნება.

— ბატონო ნიკიფორე, ახალგაზრდებმა ასე ინებეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ რა გვეთქმის... ასე ხდება ცხოვრებაში. საერთოდ, ქალიშვილი სხვისი ნაცარია, უნდა გათხოვდეს.

— ნაცარი კი არა, დოჩხაური ნაკვერჩხალი წაგვართვით... — პირში შეახტა არჩილს ბუღალტერი ალექსანდრე.

— წართმევის რა მოგახსენოთ. საწყენად ნუ დაგრჩებათ და ლამარა თავისი სურვილით გამოთხოვდა ჩვენს სოფელში, ჩემო ალექსანდრე... აბა, მეგობრებო! ერთი სასმისი კიდევ შევავსოთ! — ხმა შეიცვალა არჩილმა და ყანწი ისევ შეავსო.

როცა შევთვერი, ღვინომ წელში გამმართა, თავი ავწიე და სუფრას თამამად გადავხედე.

სუფრის ბოლოში, ჩემს პირდაპირ ერთი თვალებცქრიალა გოგო იჯდა. მეცნაურა. ნიკაპს ქვეშ შავ ხალს მოვკარი თვალი და გამახსენდა, თინიკო იყო, ამ სოფლის მოწინავე ჩაის მკრეფავი. წელს თერთმეტი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა და მისი სახელი რაიონის გარეთაც გავარდა. ისიც თქვეს, რომ წლის ბოლოს აუცილებლად სოციალისტური შრომის გმირის წოდებასაც მიანიჭებენო... გამხდარი, შავფეხა თინიკო როგორ გასუქებულა და გალამაზებულა! მუქ ვარდისფერ ჯემპრზე თეთრი, გაკრახმალებული აბრეშუმის საყელო გადმოეფინა და ესეც თავისებურ ეშხს აძლევდა.

ჩვენ მეშვიდე კლასში ერთად ვსწავლობდით. ამხანაგებმა გაგვჭორეს მაშინ. ყველაზე წინ ლამარამ დამიყარა ხმა: თვალებს უპაჭუნებდა თინიკოს გაკვეთილზეო და, დაგვიწყეს თანაჯგუფელებმა გამოჯავრება. მე მიხაროდა ეს ჭორი და თინიკოს დღეში ათჯერ მაინც მივულექსებდი: — „შავხალიანო თინაო, ჩემთან წამოდი შინაო“. სხვებიც ხმას ამაყოლებდნენ და თინა გაჯავრდებოდა, მაგრამ როგორ!.. თვალებიდან ნაპერწკლებს გადმოაფრქვევდა და გაანჩხლებული დატრიალდებოდა. წიგნებით გატენილი ჩანთით უმასპინძლდებოდა ყველას, ჩემს გარდა. მე კი ენასაც არ შემიბრუნებდა. პირიქით, ვგრძნობდი, რომ გულში რაღაც უხაროდა კიდეც... შემდეგ თინიკო თავის სოფლის სკოლაში გადავიდა და წლებმა შეუმჩნევლად გაირბინეს. ლამარას ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, თინიკომ მოკითხვა შემოგითვალაო და მე ეს მახარებდა. თინიკო მართლა შეცვლილა, გალამაზებულა და სახიერი გამხდარა. დასრულებულა... მაინც როგორ მომჩერებია?! გული საგულეში არ მეტევა...

ამ დროს ერთ კუთხეში ფანდური გაჩხაკუნდა. მეორე კუთხეში დოლზე თითები ააბრახუნეს. მესამე კუთხეში ტაში ააწყვეს და ცეკვა-თამაში გაჩაღდა. თინიკო ისევ მე მომჩერებია... თითქოსდა მანიშნებს: რაღას უყურებ, გამიწვიე საცეკვაოდო... მე ვერ ვბედავ, მრცხვენია. ის ჩემმა ბიძაშვილმა, გიორგიმ გაიწვია. თინიკო ისე ცქრიალებდა, ისე ტრიალებდა და ნარნარებდა, რომ მთელი სუფრა ფეხზე წამოდგა და მას მისჩერებოდა.

— ხო... ხო... ხო... არჩილ, რა მოცეკვავე გყოლიათ... ჩიტივით არ ფრინავს? — აროხროხდა ნიკიფორე...

— მოცეკვავეო?.. მოცეკვავეცაა და ჩაის მკრეფავიც რომ უნდა ისეთი, ნიკიფორე, თერთმეტტონიანია, თუ დამიჯერებ, თერთმეტტონიანი... აბა, რა გგონია, შენ! მალე სოციალისტური შრომის გმირიც გახდება, —თავი მოიწონა არჩილმა.

— ეტყობა, ეტყობა... ბედაურს კოჭებზე შეეტყობა... — ამოიხრიწინა დამთვრალმა ალექსანდრე ბუღალტერმა.

მინდოდა ცეკვა ჩამეჭრა, მაგრამ ამ დროს დოლის ბრახუნი შეწყვიტეს, თამადამ სიწყნარე მოითხოვა და ახალი სასმისი შეავსო... შემდეგ კი სასმისი სასმისს მიჰყვა...

როცა შევთვერით, ვიღაცამ გაუბედავად წამოიწყო: — ღვინო კი გვაქვს საქებიო, უკვე დათვრა მაყრებიო. სიმღერა ნიკიფორემაც გადმოიღო.

—მომიტანეთ ყანწებიო, მე მაინც ვერ დავთვრებიო... — ძველი კაცებიც აჭიკჭიკდნენ და ძველებური „დელი, დელა“ შემოსძახეს. მათრახივით დაიგრიხა კრიმანჭული.

ღვინოს დაჟინებით ვსვამდი, მაგრამ თავში არ შედიოდა. ალბათ, ზებიაჩემის შემზადებული თავის ტკივილის წამალი თუ მშველიდა, სახლიდან რომ გამომატანეს. თან თინიკოსაც ველარ ვაშორებდი თვალს...

ნაშუაღამევს ავთანდილს უკვე ავაყუდებიე ბუხარზე ყალიონი. დამთვრალი სუფრიდან გაიპარა.

გათენებისას თინიკომ წინ დიდი თეფშით გოჭის თავი დაიდგა. გოჭის თავს ღვინით სავსე დიდი სასმისი მიუდგა. შემდეგ პატარა, სიფრიფანა ქაღალდზე წერილი დაწერა, სამად გაკეცა და გოჭის თავს ზევიდან დაადო... ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მერიქიფემ ეს თეფში წინ ჩამომიდგა და „თინიკომ გამოგიგზავნათო“ ჩამომილაპარაკა.

წერილი ხელის კანკალით გავხსენი და გადავიკითხე: „გთხოვ ეს სასმისი ისე გამოსცალო, რომ არც გარეთ იყ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე და არც შიგნით. თუ ამას შეასრულებ, საჩუქრად ეს გოჭის თავი მომირთმევია. ბოდიშის მოხდით თინიკო".

წერილი რამდენჯერმე გადავიკითხე და ჩავფიქრდი. თინიკოს თხოვნით, ერთს კი არა, სამ სასმისს გამოვცლი. მაგრამ როგორ?.. „არც გარეთ და არც შიგნითო", აბა, ზეცაში ხომ ვერ გამოვეკიდები?..

— ბიძიკო, რამ ჩაგაფიქრა. კარებში ჩადექი და ისე გამოსცალე, არც გარეთ იქნები და არც შიგნით, — ჩამომილაპარაკა ნიკიფორემ, რომელიც თურმე ცალი თვალით კითხულობდა ამ წერილს.



— ჰო, მერე რაიო? სამაგიეროს რას გპირდება? გოჭის თავიო?.. გოჭის თავი რა ემმაკად მინდა, აქაც კი არის. მე გამოიგზავნითქვა. ჰო, მაინც რომელია მაგი? თერთმეტ ტონა ჩაის ფოთოლს რომ კრეფს, იგი ხომ?! დაიცა... დაიცა... უშანგი, მოდი ერთი აქეთ! — გასძახა მან შუახნის ტანმოცრო კაცს, საქორწილო დარბაზში შემთხვევით შემოსულ უფროს მზარეულს. უშანგი მოვიდა ჩვენთან.

— რაშია საქმე, ბატონო ნიკიფორე? საჭმელს ან ღვინოს ხომ არ გვიწუნებთ?

— ყველაფერი გემრიელია, მარა, ერთი ვაჟკაცურად მითხარი, ჩემო უშანგი, ეს თქვენი თერთმეტტონიანი ჩაის მკრეფავი გათხოვებას ხომ არ აპირებს? — ხმას დაუწია ბიძაჩემმა.

— არა, ბატონო ნიკიფორე, ისე ძალიანი ბაღანა კია...

— ჰოო... ძალიანია... ძალიანიც იცეკვა... არც საქმარო ჰყავს?..

— როგორ გეკადრებათ, ჩემო ნიკიფორე... ბიჭებს სათოფეზე გაურბის... მთხოვნელი კი ბევრი ჰყავს. რა იყო, თვალში ხომ არ მოგივიდათ?.. მაგას ჩვენი სოფელი ასე ადვილად ხელიდან ვერ გაუშვებს, ჩემო ნიკიფორე...

— არა, ისე ვიკითხე, სხვათა შორის... ვნახოთ... ვნახოთ, ჩემო უშანგი... ხა... ხა... ხა.. ხა... საღი ბაღანაა და...

—დიდი ბოდიში, ჩემო ნიკიფორე... სამზარეულოში საქმე მიფუჭდება. მეჩქარება, — მოიბოდიშა უშანგიმ და გაიქცა.

— აბა, ჩემო ძმისშვილო, გაკეთდა ჩვენი საქმე!.. მომეცი მაგი წერილი აქით...

ნიკიფორემ წერილი გამომგლიჯა, გადააბრუნა და წააწერა: — „შევეცდები შევასრულო შენი თხოვნა, ოღონდ... ოღონდ თუ ამოვხსენი, ცოლად უნდა გამომყვე".

— კი მაგრამ... კი მაგრამ, ეს როგორ, ბიძაჩემო... ასე პირდაპირ როგორ შეიძლება... უხერხულია... სირცხვილია.

— სუუ... შენ ბაღანა ხარ ჯერ, არაფერი არ გესმის ცხოვრების. სირცხვილიაო?.. სირცხვილი ქურდობაა, ავაზაკობა, მტაცებლობა... ცოლის მოყვანა რომ სირცხვილი იყოს, ამდენხანს უნდა მოსპობილიყო ეს ქვეყანა... ცუდი გოგოა თუ?.. მზესავით ანათებს. თერთმეტ ტონა ჩაის ფოთოლს კრეფს წელიწადში!.. თერთმეტ ტონას!.. არ მოგწონს თუ?

ვერაფერი ვუპასუხე... დავიბენი... ბიძაჩემმა მერიქიფეს დაუძახა და წერილი უკან გაატანა...

თინიკომ წერილი გადაიკითხა და ყურებამდე გაწითლდა. შერცხვა... შერცხვა... პირდაპირ მაგიდის ქვეშ ჩაძვრა სირცხვილით. მეგონა, სუფრიდან გაიქცეოდა, ანდა მომიხტებოდა და გამლანძღავდა. მაგრამ ადგილიდანაც არ განძრეულა.

— აბა, წამოხტი, ბიჭო ზედ... ხომ ხედავ, გოგო დაიწვა სიხარულით... ბედი კარზე მოგვიგორდა... წამოხტი, ჰო... რას გაჩერებულხარ?.. კარებში ჩადექი და მაგი სასმისი გამოცალე, დანარჩენი მე მკითხე... გვერდში ხელი მკრა ბიძაჩემმა. შემდეგ ფეხზე წამოდგა და სუფრას ხმამაღლა მიმართა:

— პატივცემულო არჩილ!.. ძვირფასო მეგობრებო! ჩემს ძმის შვილს ამოსახსნელი გამოუგზავნეს... დავაცადოთ თუ ამოხსნის... „ეს სასმისი ისე გამოსცალე არც გარეთ იყო და არც შიგნითო." ვნახოთ... შეიძლება მთვარეზე გაფრინდეს და ისე გამოსცალოს... კი... ხა... ხა... ხა,.. შეუძლებელი არც მთვარეზე გაფრენა გახდა. ყურადღებას გთხოვთ!

— ყურადღება, ამხანაგებო!.. დავაცადოთ მაყარს, რას გვეტყვის ახალს! — ბრძანა არჩილმაც.

სიჩუმე ჩამოვარდა. ძლივს წამოვდექი... კარებში ჩავდექი და ზედ ზღურბლზე გამოვცალე სასმისი.

— მართალია, არც კარებზე გადასულა და არც შიგნით ყოფილა, ისე გამოსცალა!..

— სწორია, სწორია, ნამდვილად სწორია!..

— ნაღდია, სწორად ამოხსნა!.. მე, მართლა მთვარეზე გაფრინდებოდა მეგონა!..

— წყალი არ გაუვა!.. გენაცვალე ყანყრატოში! — ყოველი მხრიდან მომესმა შეძახილები.

— გამომგზავნელი რას გვეტყვის?! როგორაა თერთმეტტონიანი ჩაის მკრეფავო? სწორია? — გასძახა ნიკიფორემ სუფრის ბოლოსკენ, მაგრამ თინიკო იქ აღარ იყო. თვალსა და ხელს შუა გაპარულიყო განის კარიდან.

— სად არის ის მოცეკვავე ქალიშვილი?! შემოიყვანეთ სასმისის გამომგზავნელი, შემოიყვანეთ! — აყვირდა ბუღალტერი.

თინიკო მაინც არ გამოჩნდა.

— შემოიყვანეთ!.. შემოიყვანეთ!.. — აგუგუნდა მთელი მაყრიონი. სახეზე ხელებაფარებული თინიკო ძალით შემოიყვანეს.

— აბა, რას გვეტყვი, ჩემო ბიძიკო?.. ხომ შეასრულა?.. ააა?... ხომ ამოხსნა?

თინიკო დუმდა... სახიდან ხელებს აღარ იშორებდა, მაგრამ მე ამ ხელებს იქითაც ვხედავდი, რომ უხაროდა.

— ჩვენს წინადადებაზე რაღას გვეტყვი, ბიძიკო?.. ამისთანა ლამაზ ბიჭს დაგვიწუნებ?... ხომ ხედავ, მხარბეჭიანი ვაჟკაცია! წელს 90 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა! გაისად 120 ცენტნერს გვპირდება ჰექტარიდან. წამოყობი ცოლად? ჰოო?!.. ჩვენი რძალი გახდები?!

თინიკო ხმას მაინც არ იღებდა.

მასპინძლებში არეულად გაისმა დაგუბებული შეძახილები. ჯერ კანტი-კუნტად, აქა-იქ, შემდეგ კი მოუხშირეს.

— ეს როგორ შეიძლება, ნიკიფორე, დათვერით თუ როგორაა საქმე? ანდა, ხომ არ ხუმრობთ?! — ხმას აუწია თინიკოს მამამ.

— ვაიმე, მომკალით და იგია. ეს რა მესმის! რა დროს ჩემი ბაღანას გათხოვებაა! —ლოყების ჩამოკაწვრით შეიცხადა თინიკოს დედამ.

— პატივცემულო ნიკიფორე! როგორ გეკადრებათ ამ ჭკვიან კაცს ასეთი აჩქარება — ალაპარაკდა სუფრის თავში არჩილი.

— არა, ჩემო არჩილ, მასე არაა, მასე ვერ მოგართვეს. შენ არაფერი აღარ გაქვს სათქმელი. ათტონიანი ჩაის მკრეფავი წაგვართვი და განა მარტო ჩაის მკრეფავი?! მოკრიმანჭულე, არტისტი, ჩვენი კუთხის ახალგაზრდობის სული და გული... თვით ქალიშვილს დავაცადოთ, რას გვეტყვის. ხომ ხედავთ, თანახმაა! უარს არ ამბობს. მაშასადამე, თანახმაა.

ახალგაზრდებმა ერთმანეთში რაღაც ნახეს საერთო და ჩვენ ვერ წავალთ წინააღმდეგ. არა გვაქვს ამის არც საფუძველი და არც უფლება. დღეს ახალგაზრდები თვითონ წყვეტენ ასეთ საქმეს. ხომ ხედავთ, ჩვენ არავითარ ძალას არ ვატანთ. — მოუჭრა არჩილს სიტყვა ბიძაჩემმა.

— არ შეიძლება! ასე უეცრად ამ საქმის გადაწყვეტა არ შეიძლება!..

— ეს არ მოხდება! ყოვლად დაუშვებელია!

— თინიკო ჩვენია! ვერ დაგითმობთ!

— თინიკო ჯერ არ თხოვდება! ჯერ გმირი უნდა გახდეს!

— თინიკომ უნდა ისწავლოს!

აყვირდნენ თინას ნათესავები და მეზობლები და მისი უკანა ოთახში გაყვანა მოინდომეს. მაგრამ თინიკომ ადგილიდან აღარ მოიცვალა ფეხი.

ნიკიფორეს გული მოეცა, მარჯვენა ხელი აუწია ქალიშვილს და ცოლს გასძახა:

— გოგუცა, ბეჭედი წამოიძრე ხელზე! ბეჭედი მალე!.. თერთმეტტონიანი ჩაის მკრეფავი ჩვენია!..

გოგუცა ბიცოლამ მართლაც წამოიძრო ხელიდან სამმისხლიანი ძველებური ოქროს რგოლის ბეჭედი, თინიკოს მიაფართქალდა, მარჯვენა ხელის შუა თითზე წამოაცვა და სახალხოდ მოგვილოცა:

— იბედნიერეთ, შვილებო!.. იცოცხლეთ!.. ას წელიწადს შეაბერდით ერთმანეთს მზიანი ამინდით... ათი გოგო და ბიჭი გყოლოდეთ!.. სასახელოდ დაგეზარდოთ!

ამ დროს სამზარეულოდან ტანმორჩილი უშანგი შემოვარდა:

— ქალბატონო გოგუცა, ბატონო ნიკიფორე, ასე არ ჭშვენის საქმეს. ჭკვიანი ადამიანები ბრძანდებით და დაუკვირდით ცოტა. ნიკიფორე მთვრალი ხარ, მგონია და...

— რაიო, უშანგია?... — შეაწყვეტინა ბიძაჩემმა სიტყვა მზარეულს.—მთვრალიო? ერთ ფუთ ღვინოს კიდევ შევსვამ. მე ვარ პასუხისმგებელი ამ საქმის. თინიკო მე მიმყავს რძლად. ჩემი ძმისშვილი შვილებში არ გამომერჩევა. თქვენს თერთმეტტონიან ჩაის მკრეფავს ცივ ბინდსაც არ გავაკარებთ, შვილივით მეყოლება... ახალ ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს! აბა, გამოაწყვეთ ახალი მაყრიონი! ქორწილი ქორწილზე გადავაბათ!—ხელები მაგრად შემოგვხვია ბიძაჩემმა, შემდეგ ყანწი ასწია და ჩვენი სადღეგრძელო წარმოსთქვა. სადღეგრძელო ასეთი სიტყვებით დააბოლოვა:

— არჩილ, ხომ გითხარი გადაგიხდით სამაგიეროს-მეთქი! და გადაგიხადეთ. ათტონიანი ჩაის მკრეფავი კი წაგვართვი, მაგრამ თერთმეტტონიანი მიგვყავს, თერთმეტტონიანი! მომღერალ-მოცეკვავე! ბარი-ბარში ვართ. არც ერთს არ უნდა დაგვწყდეს გულს...

მე რეტდასხმული ვიყავი. გონს მაშინ მოვედი, როცა ჩემს გვერდით სუროსფერ „ვოლგაში“ თინიკო ჩამომიჯინეს, თვალებციმციმა, შავხალიანი თინიკო. ოდის ფანჯრიდან ლამარა ეშმაკურად გვიქნევდა ხელს, ჩვენს უკან კი შეზარხოშებული მაყრიონი მაყრულს მღეროდა.

ისევ აგუგუნდა „შვიდკაცა“ (ლამარას გარეშე): „ქალი მომყავს ნათელიო“ და ეს გუგუნი ბახვის წყლის ჭალაში ოთხივ კუთხით გაიშალა.

ნურადინ ჩხაიძე



თინა ზიზინაშვილი

(ნარკვევი იხ. მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭიათურა

# ...ნამდვილი სიამაყე

მდინარე ყვირილა შავად შეფერილი მოედინება თავის ვიწრო კალაპოტში. მის მარცხენა მხარეს — ჭიათურიდან ჭიქაურის მიმართულებით, სულ რაღაც ერთ კილომეტრზე, მაღალი კოშკისებური შენობა იპყრობს გამვლელის ყურადღებას.

არ გეგონოთ ეს შენობა იმ ახალი საცხოვრებელი სახლების რიცხვში იყოს, რომლებიც ასე მოეფინა ქალაქ ჭიათურას და მის გარეუბნებს.

არა, ეს ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს პეროქსიდების გამაუხვებელი ფაბრიკაა — პეროფად წოდებული, ამ 21 წლის წინათ აშენებული.

ფაბრიკა მთელი მკერდით სუნთქავს დღე და ღამ, მის განუწყვეტელ მაჯისცემაში დღეს ალამებს, ღამეს ათენებს ასობით ადამიანი.

ბუნკერებში ხრიალით ჩადის მანგანუმის ნედლეულის ნამსხვრევები, დაზგები რახრახებენ — არხში ელვის სისწრაფით მოჩხრიალებს შავი ქვის მურით შეღებილი შავი წყალი.

— ჭიათურას ცხრა გამამდიდრებელი ფაბრიკა აქვს,—გვეუბნება ფაბრიკის დირექტორი ვ. სალინაშვილი, — მაგრამ პეროფი ერთადერთია მთელ საბჭოთა კავშირში, იგი მანგანუმის უმაღლესი ხარისხის პროდუქციას — პეროქსიდებს უშვებს.

გავაზივით მოქნილი გოგონა ორ დაზგას შორის ტრიალებს, ხან ერთს მიეჭრება, ხან მეორეს, შეათვალიერებს, რაღაცას შეასწორებს, დროგამოშვებით, თითქოს საყვარელი ადამიანის თმას ეალერსებაო, აქოჩრილ შავ წყალში ხელს შეურევს.

ეს მზია კვიტაშვილია, ამ ფაბრიკის ტოლი გოგონა, მადნის მრეცხავი მუშა ქალი.

— საშუალო სკოლა დავამთავრე თუ არა, პირდაპირ აქ მოვედი, — ღიმილით გვეუბნება მზია, — მეოთხე წელია აქ ვმუშაობ.

დედა დიასახლისი ჰყავს მზიას, მამა...

— აი, მამა, — ჩამწკრივებულ დაზგებს შორის გაიხედა მზიამ, — აქ მუშაობს, უფროსი ტექნიკოსია.

— ვინ უფრო ადრე მოხვედით ფაბრიკაში, მამა თუ შენ? — ვეკითხები მზიას.

— რა თქმა უნდა, მამა, —მხიარულად გაიცინა მზიამ, — ის ფაბრიკის ამუშავების პირველი დღიდან აქ არის.

თითქოს იგრძნო, რომ საუბარი მას შეეხებოდა, ჩვენსკენ გამოემართა ახოვანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, მზიას მამა — ანტონ კვიტაშვილი, კაცი რაჭველი, რომელსაც ჭიათურის წყალი შეუსვამს და ვეღარ მოშორებია აქაურობას. ასე იცის ჭიათურამ!

— დიდი ხანია, დიდი ხანი, — გვეუბნება ანტონი, — 32 წელია ჭიათურის წარმოებაში ვმუშაობ. ამ ფაბრიკაში კი—1940 წლიდან.

მართლაც რომ დიდი ხანია. 21 წლის წინათ პეროფის დაზგების პირველ ცხოველმყოფელ მუსიკას მექანიკოსი ანტონ კვიტაშვილი დირიჟორობდა. დღესაც იგი დასტრიალებს თავს მარგანეცით შემურულ ამ ნამაშვრალ დაზგებს. თავდადებული შრომისათვის იყო, რომ ანტონ კვიტაშვილი დააჯილდოვეს ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

შრომის ყადრი და ფასი იცის ამ მთიელმა კაცმა. სწორედ ამიტომ აზიარა მან შრომას ერთადერთი ქალიშვილი მზია.

ჩვენი სტუმრისას მზია ხელმარჯვედ აჩერებს ერთ-ერთ დაზგას და პატარა, მაგრამ გამრჯე, დაოსტატებული ხელით არხიდან იღებს გარეცხილ მადანს.

— აი, ეს გახლავთ პეროქსიდი — მსოფლიოში საუკეთესო მანგანუმი, — გვიჩვენებს მზია ხელისგულზე დაყრილ შავი ბრილიანტივით ბრჭყვიალა სველ მადანს.

— მადნის გამდიდრება-გაუხვება საკმაოდ რთული პროცესია, — ამბობს გოგონა, რომელმაც ისევ აამუშავა დაზგა.

ფაბრიკის პირველი საამქრო საჰაერო გზით ბუნკერებში ღებულობს მანგანუმის ნედლეულს. იქ წარმოებს ნედლეულის დამტვრევა და გაცხრილვა-დახარისხება.

ამ საამქროში კი, სადაც მზია კვიტაშვილი ტრიალებს, მადნის გაუხვების ძირითადი პროცესი — რეცხვა მიმდინარეობს. აქ ღებულობენ ოთხი ხარისხის პეროქსიდს. მესამე საამქროში გაუწყლოვდება ეს პროდუქცია და სრულყოფილი სახით გადის ფაბრიკიდან.

— ეს ჩემი ძმაა — ომარი, ზეინკლად მუშაობს ჩვენთან, — გვაცნობს მზია აშოლტილ მომღიმარ ყმაწვილს, — ისიც სკოლიდან მოვიდა აქ ორი წლის წინათ.

მზია მამამ ჩააბა შრომის ფერხულში, ის იყო მისი პირველი მასწავლებელი. ომარი? ომარი თვითონ მოვიდა აქ, მამისა და დის შრომის ენთუზიაზმით შთაგონებული. მოვიდა და გვერდში ამოუდგა დას.

ომარი კომკავშირელია, მზია — კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ყველაზე რთულ დავალებას ყოველთვის ძმას აძლევს მზია და არც ტყუვდება...

მზია მარტო მოწინავე მუშა ქალი როდია, იგი ფაბრიკის სული და გულია, ყოველი საქმის წამომწყები და ინიციატორი.

...ბუნკერებში ხრიალით ჩადის მანგანუმის ნედლეულის ნამსხვრევები, დაზგები რახრახებენ — არხში ელვის სისწრაფით მოჩხრიალებს შავი ქვის მურით შეღებილი შავი წყალი...

კვიტაშვილების შესანიშნავი სამეული პეროფის ნამდვილი სიამაყე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...მაინც შარიშურობს

ამ დაწესებულებას ტყუილად როდი ეძახიან ბაღს — საბავშვო ბაღს. მიუახლოვდებით მის კარებს და სასიამოვნო ჭიკჭიკსა და ჟღურტულს გაიგონებთ, კარს შეაღებთ და...

— მობრძანდით, მობრძანდით, — თავაზიანად და თბილად გვეგებება ქალაქ ჭიათურის III საბავშვო ბაღის გამგე ელენე დევიძე.

პატარა გოგო-ბიჭებმა, ფერად-ფერად ტანსაცმელზე რომ თეთრი ხალათები აცვიათ, პეპლებივით მოგვაფრინეს ციმციმა თვალები. მართლაც რომ ნამდვილი ყვავილნარია!

თმაშეთოვლილი, ფერმკრთალი ქალი იალბუზივით დგას ამ ცეროდენებში.

ეს საშა ლეჟავაა — დეიდა საშა, პატარების საყვარელი აღმზრდელი-მასწავლებელი, ფარვანასავით რომ დასტრიალებს თავს საბავშვო ბაღსაც და თავის პატარებსაც.

— აი, ბავშვებო, სტუმარი გვეწვია, —ეუბნება იგი პატარებს, — რა ვუჩვენოთ, რით ვასიამოვნოთ?

— ვიმღეროთ, ვიმღეროთ!—აჟრიამულდნენ ნამცეცა მასპინძლები და ტანსაცმლის სწორებით სასიმღეროდ მოეწყვნენ.

— ვიმღეროთ. — ღიმილით დაეთანხმა აღმზრდელი და თვითონვე წამოიწყო; წკრიალა ბავშვური ხმებით აივსო ბაღი...

— ეს ჩემი პატარების ნახატებია, — გვიჩვენებს ნახატების მთელ გალერეას საშა. აი, დალი გაფრინდაშვილის ნახატი — „გოგონა სეირნობს ბაღში", მანანა მოდებაძის — „შემოდგომა", ალეკო ბიწაძის — „ჩვენი ეზოს ხეები" და მრავალი სხვა.

— ზოგიერთ ბავშვში ნამდვილად იგრძნობა ხატვის ნიჭი, — მეუბნება აღმზრდელი და პატარა მაყვალა ხახიაშვილის ორ ნახატს მიჩვენებს — „წიწვიანი ხეები ზამთარში" და „საახალწლო ნაძვის ხესთან". 5 წლის მაყვალას ნაძვის ხის გარშემო ფერხულში ჩაბმული ბავშვები ნაირფერ ტანსაცმელში გამოუწყვია, თმაც სხვადასხვაგვარად დაუვარცხნია და დაუწნავს მათთვის, გამომეტყველებაც სხვადასხვანაირი აქვთ. ეს ნამდვილი შემოქმედებაა.

აი, პატარების კოლექტიური ნაძერწი — სახლი, ხეხილიანი ეზო, ტყე სოკოებით და სხვადასხვა კენკროვანით, გარეული და შინაური ცხოველები.

— დიახ. სამუშაო ძალზე ბევრია, ძალზე ბევრი, — ამბობს საშა, — ზოგს კი, სამწუხაროდ, ისე წარმოუდგენია, თითქოს საბავშვო ბაღი მხოლოდ ბავშვების გასართობი ადგილი იყოს ან მშობლების დამხმარე დაწესებულება, რომ პატარები უმეთვალყუროდ არ დარჩნენ შინ, როცა მშობლებს არ სცალიათ.

—რა თქმა უნდა, მშობლებსაც ვეხმარებით და ბავშვებსაც ვართობთ, — ამბობს იგი, — მაგრამ არც ერთი სახის გართობა არა გვაქვს ისეთი, რომ რაიმე მიზანს არ ემსახურებოდეს.

და მართლაც, განა მარტო ხატვა-ძერწვით, სიმღერა-ცეკვით ამოიწურება საბავშვო ბაღში პატარებთან მუშაობა? განა აქ არ სწავ-



ლობენ ისინი წესრიგს, უფროსებისადმი პატივისცემასა და მოკრძალებას, აქ არ ეყრება საფუძველი პატარების შრომა-საქმიანობას, აქ არ უმუშავდება მათ კოლექტიურობის გრძნობა? საბავშვო ბაღი უღვიძებს პატარებს მშობლიური ენისადმი, სწავლისადმი, ცოდნისადმი სიყვარულს. საბავშვო ბაღი ამზადებს მათ სკოლისათვის.

— 25 წელია ვტრიალებ ამ პატარებში, — გვეუბნება საშა, — ერთი დღეც არ გამიცდენია პირადი სიამოვნებისათვის და ეს დრო დაკარგულად არ მიმაჩნია.

პატარებთან მღერის, მათთან თამაშობს დეიდა საშა, არასოდეს წარბს არ შეიკრავს. იცის თავის ნამცეცა აღსაზრდელების პატარა დარდისა და სიხარულის მიხვედრა, გაზიარება.

აი, ამიტომაც არ ივიწყებენ ამ ბაღსა და დეიდა საშას მისი აღზრდილები.

20 წელია, რაც დეიდა საშა და საბავშვო ბაღის კოლექტივი სკოლისაკენ ყოველწლიურად აცილებენ აღზრდილებს, მიდიან პატარები და თან მიაქვთ აღმზრდელების დიდი სიყვარული.

თავის ანზორიც ხომ აქ, ამ ბაღში მოიყვანა საშამ. მოიყვანა და სხვა აღმზრდელს ჩააბარა, მეტი მოკრძალება ექნებაო მისი, ამის გახსენება იყო და... აშრიალდნენ ჭაღარა აღმზრდელის განვლილი ცხოვრების ფურცლები.

საშა ნოშრევან ლეჟავას ოჯახში აღიზარდა. აქ ყველა მღეროდა და პატარ ჯულიასაც, როგორც მას ეძახდნენ წინათ, სიმღერის ნიჭი დაყვა.

მღეროდა ჯულია მამასთან, და-ძმასთან, მღეროდა ამხანაგებში, მღეროდა ცნობილი ლოტბარის სანდრო კავსაძის სასკოლო გუნდში.

სანდროს უყვარდა თავისი ხმაწკრიალა მოწაფე, ყველგან, ყველაფერში უნდოდა გამოეჩინა იგი და გუნდში გაისმოდა ჯულიას ტკბილი მოძახილი.

საშამ ჩინებულად დაამთავრა საშუალო სკოლა... გავიდა ხანი... კავსაძეების ოჯახს სანდროს საყვარელი მოწაფე საშა ლეჟავა მოკრძალებულ და მოყვარულ რძლად მოევლინა.

შემდეგ... მეუღლე ახალგაზრდობაშივე დაკარგა საშამ და გულისა და სულის მალამოდ პატარა ანზორი დარჩა.

ბიჭუნას სიმღერის ნიჭი დედმამისაგან გამოყვა. გაკვეთილებს რომ მოილევდა, ტოლ-ამხანაგებში ნავარდს რომ მორჩებოდა, თმახუჭუჭა ანზორი დედის მკერდს მიეყრდნობოდა და ბაბუასეულ სიმღერას წამოიწყებდა: „ცის კიდური აფერადდა, ტანთ ჩაიცვა ფარჩის კაბა..."

შეწყობილი ტკბილი ხმით მღეროდა დედა-შვილი, სიმღერას სიმღერა ცვლიდა და კავსაძეების ოჯახიდან ძველებურად ისმოდა წარმტაცი მელოდიები.

— რა მალე გადის წლები, — მოგონებისაგან დაღლილი ხმით ამბობს საშა, — ახლა ჩემი ანზორი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის იმ დამსახურებული ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი და დირიჟორია, რომელიც ბაბუამისმა — სანდრო კავსაძემ ჩამოაყალიბა 1917 წელს. შარშან საგუნდოსადირიჟორო კლასის ასპირანტურაც დაამთავრა ანზორმა.

— ერთი შვილიშვილი მყავს — თინათინი. იგი ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, გამართული ლაპარაკიც არ იცის, მაგრამ სიმღერა მაინც უყვარს, — გაბრწყინებული სახით ამბობს საშა.

აქ, ამ მშობლიურ ქალაქში საბავშვო ბაღის ყოველდღიურობა, პატარა აღსაზრდელების სასიამოვნო ჭიკჭიკი და ჟღურტული ავსებს შესანიშნავი აღმზრდელის — საშა ლეჟავას მარტოობას.

იქ კი — თბილისში მისი ანზორის პატარა ბუდეა, პატარა თბილი ოჯახი. დედა-შვილი სიყვარულით ხვდებიან ერთმანეთს. თმაშეთოვლილი ქალი დაღლილ თავს მიაყრდნობს ვაჟიშვილის ვაჟკაცურ მკერდს და... „ცის კიდური აფერადდა, ტანთ ჩაიცვა ფარჩის კაბა..." ჯერ კიდევ ახალგაზრდული ხმით ტკბილად მღერის საშა შვილთან ერთად.

ტყუილად როდია ნათქვამი, ფარჩა რაგინდ გაცვდეს, მაინც შარიშურობსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურა

# ბედნიერი ოჯახი



ჩვენი მანქანა მოხერხებულად ილებს იმერეთის მიხვეულ-მოხვეულ ალმართებს ჭიათურიდან წირქვალისაკენ მიმავალ გზაზე.

აქ უცხო არა არის რა ჩემთვის, მაგრამ მაინც გარინდული ვუმზერ ამწვანებულ ფერდობებს, შეფოთლილ ხეებს.

აი წირქვალიც — ჭიათურის ერთ-ერთი ლამაზი სოფელი. გზადაგზა ახალ ორსართულიან სახლებს ვხვდებით, ფერად-ფერადად რომ შეუღებავთ. თვალსა და გულს ახარებს განახლებული სოფლის ეს იერი.

მანქანამ პატარა მოედანი გადაჭრა, ორღობეში ჩაუხვია და მზით გაჩირაღდნებულ კოპწია სახლთან გაჩერდა.

ოდნავ დაქანებულ ეზოში ბუთხუზა ბიჭუნა თითქმის თავისოდენა ლეკვს ეთამაშება. ხან ერთია ქვევით, ხან მეორე, ბიჭუნამ ცერად გამოგვხედა და,თითქო თავისი ოსტატობა უნდა გვიჩვენოსო, უკანა ფეხებზე დამდგარ ლეკვს სარმა გამოსდო და მოპირდაპირესთან ერთად გადაკოტრიალდა.

ის იყო უნდა შევხმაურებოდით ბიჭუნას, რომ კიბისთავზე მაღალი, ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, — ძველი ნაცნობებივით მიგვიწვია მან დაუპატიჟებელი სტუმრები და მოხდენილად ჩამოირბინა კიბე.

სახლის აივანი და ოთახი მზით არის ავსილი, მაგრამ ამ სახლში მზის შუქზე მეტი გულის შუქი და სითბო იგრძნობა.

დიახაც. სხვაგვარად როგორ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა იმერეთი და იმერელი. გულსუფთა, გულთბილი, უშუალო, სტუმართმოყვარე. რისთვისაც არ უნდა იყო მისული,სულერთია — შენ პირველ რიგში სტუმარი ხარ, დიაღ, სტუმარი.

— გვაპატიეთ, ნატალია, ოჯახში მოგეჭერით, — მოვუბოდიშე ნატალიას, — მაგრამ ვივარაუდეთ, რომ ამ დროს ფერმაში არ იქნებოდით და აი, გეწვიეთ.

ნატალიამ ჩვენი მისვლის მიზანი რომ გაიგო, ბავშვივით დაიბნა, შეიშმუშნა, თავი დახარა და კაბის კალთის სწორებით გვითხრა:

— მე აბა რა გამიკეთებია ისეთი, რომ ჩემი გაცნობა ისურვეთ.— მერე ჩემს თანამგზავრებს შეხედა და ღიმილით დაუმატა, — ჩვენს სოფელში ბევრია ჩემზე უკეთესი, სახელოვანიც კი...

ეს მაღაროელი მუშის გრიგოლისა და მეფრინველე ნატალია ბრეგვაძეების ოჯახია — დიდი ოჯახი. გრიგოლი მოწინავე მაღაროელია — ამწმენდი, მუდამ გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. მაგრამ ამით როდი ამაყობს გრიგოლი, საამაყო მას სხვაც ბევრი აქვს.

აი, მისი მეუღლე ნატალია წარჩინებული მეფრინველეა. გასულ წელს მან ხუთასი ფრთა ადგილობრივი ჯიშის ქათამი გამოიყვანა და ექვსასი შრომადღის საზღაურად კარგად მიიღო სიმინდი, ხორბალი, ფული.

ნატალია 35 წლის ქალია, შნოიანი გარეგნობის. თავის უფროს ვაჟზე ბევრად უფროსი როდია იგი — ძმასავით უდგას გვერდში.

— ჩემი ზაური ახლა 21 წლისაა,—გვეუბნება ნატალია, — 1960 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, ლენინგრადის ოლქშია.

ფოტოსურათიდან გვიმზერს მხარბეჭიანი ახალგაზრდა. სამხედრო ფორმა რაღაც განსაკუთრებულ ლაზათს აძლევს ყმაწვილკაცს.

ახალგაზრდა დედა სიყვარულით დასცქერის თავის პირმშოს და კმაყოფილებით იღიმება.

— ამის მომდევნოც ვაჟი მყავს — ბონდო. ის 15 წლისაა. შვიდი კლასი დაამთავრა. გასულ წელს ცოტა შეეშალა ხელი, — გულდაწყვეტით ამბობს ნატალია, — ტექნიკუმში ვერ მოეწყო. წელს უეჭველად რაღაცას უნდა ეწიოს. ახლა კი შინ საქმიანობს ბონდო, ოჯახს ეხმარება.

დედის კალთას ერთ მხარეს ლეკვთან მოჭიდავე ბიჭუნა მიეკვრია. ეს 5 წლის ამირანია, ჩვენი პირველი ნაცნობი, ოჯახის ნაბოლარა. მეორე მხარეს — ლოყაწითელი ქერა გოგონა ნელი, ურჩი ოქროსფერი თმით. ორთავენი დიდრონი თვალებით შემოგვცქერიან უჩვეულო სტუმრებს.

— ეს კიდევ ჩემი დიდი გოგოა, — გვაცნობს სკოლიდან ახალმოსულ გოგონას ნატალია.

დალის პიონერული ყელსახვევი უმშვენებს ყელს. სტუმართმოყვრულად გვიღიმის თვალციმციმა ეშხიანი გოგონა. აი, მეორეკლასელი რევაზიც მოვიდა სკოლიდან.

ექვსი შვილი — ოთხი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს ნატალიას, ოჯახის შნო და ლაზათი, მომავლის იმედი და სიხარული. თვითონ კი... ჯერ მხოლოდ 35 წლისაა — ბედნიერი, ჯანსაღი, ახალგაზრდა. დიდი ოჯახი აქვთ გრიგოლ და ნატალია ბრეგვაძეებს. სიყვარული და ხალისი მეფობს ამ ქართულ ოჯახში.

გამოვეთხოვეთ გულღია მასპინძლებს და მიხვეულ-მოხვეული დაღმართით დავეშვით წირქვალიდან ჭიათურისაკენ.

ბევრი გვყოლოდეს შენისთანა, კარგო ქალო, ნატალია ბრეგვაძე!

**ბაგო ვაშაძე**

# გაიხარეთ ყვავილებო

მას თავისი ცხოვრება ჰქონდა, ოცი წლის ქალიშვილის ცხოვრება. ეს იყო ზღვა სურვილების, რაღაც განსაკუთრებულზე ფიქრის, ზოგჯერ ზედმეტი სიხარულის, ზოგჯერ გაურკვეველი მოწყენის ასაკი. ის ჩამოვიდა იმერეთიდან მაღალი, გამხდარი და ლამაზი. მისთვის უცხო იყო ქალაქი ხმაურით, უამრავი ხალხით, ქვაფენილიდან ადენილი სიცხით და მტვრით. უკან გაბრუნებაზე ვერ იფიქრებდა, სანამ სწავლას არ დაასრულებდა. მერე კი წავიდოდა სოფლად, სადაც სიმწვანეა და ჩრდილები, სადაც ჰაერია კამკამა და მსუბუქი, სადაც მიწა ელოდა მის ხელებს, რომ გული გადაეხსნა და მიეღო მარცვალი გრძელი თითებიდან.

აგრონომიულ ფაკულტეტზე ვერ მოხვდა იმერეთიდან ჩამოსული გოგო, რადგან დააგვიანდა ჩამოსვლა. უკან გაბრუნებაზეც არ აფიქრებინეს ახლადგაცნობილმა ადამიანებმა და მათი რჩევით შემოდგომის ერთ დილას ის ქალაქის ავტოსადგურში გავიდა.

ის ავტოსადგურში ნახა მლეთისკენ მიმავალი ავტობუსის მძღოლმა. ქალიშვილს არ შეუხედავს მისთვის, ისე დაჯდა წინა რიგში და ხელბარგი მუხლებზე დაიწყო. ავტობუსის გასვლას წუთები აკლდა, რომ ქალიშვილმა გადაიფიქრა გამგზავრება და ძირს ჩამოვიდა. ავტობუსი მლეთისკენ უმისოდ წავიდა.

სამი დღის შემდეგ ქალიშვილი კვლავ გამოჩნდა. მას არც ახლა შეუხედავს ვისმესთვის, ისე მოთავსდა წინა რიგში. მძღოლმა შეამჩნია, რომ მას ხელზე მრგვალი ბეჭედი გაუჩნდა და გაუკვირდა, მაინც რომ მარტო მიდიოდა.

ქალიშვილი მლეთას პირველად მიდიოდა, საერთოდ პირველად მიდიოდა მთაში. ის არ იცნობდა იქაურებს და გაეხარდა, თავსაფრიანმა დედაკაცმა რომ უთხრა მლეთელი ვარო. დედაკაცი კეთილი ჩანდა და ქალიშვილმა გაანდო:

მთის ხალხზე ამბობენ უხეშნი არიან და ქალის მოტაცებაც შეუძლიათ. ამიტომ ეს ბეჭედი თვალის ასახვევად გაიკეთა, თორემ ქმარი ჯერ მართლა არ ჰყოლია.

დედაკაცმა თავსაფარი შეიხსნა და შეიცხადა, ეს რა უთქვამთ ჩვენზეო, შვილები ამოიწყვიტა, თავს მოვიკლავ, თუ ვინმემ გაწყენინოსო. ისიც თქვა, რომ სოფელი ყოველდღე ელოდა ბარიდან „უჩიტელის" ამოსვლას და 95 ობოლ ბავშვს ამ ლოდინით თვალები გაუწვრილდა, რომ უდედმამო ბავშვებისათვის ფოსტის შენობა დასცალეს მლეთელებმა და ის — „უჩიტელი" მაინც არ ჩანს.

მძღოლმა სარკეში დაინახა, როგორ წაიძრო ქალიშვილმა ბეჭედი და გაიღიმა, მერე დედაკაცისაკენ გადაიხარა და მძღოლმა მანქანა შეაჩერა, რომ გაეგონა რას ჩურჩულებდა ლამაზი გოგო. მერე დედაკაცი მაინც აჟივჟივდა და ავტობუსში ყველამ გაიგო, რომ მათთან ერთად მლეთისკენ ობლების მასწავლებელი მიდიოდა.

* * *

ერთი წლის შემდეგ მლეთელებმა სინანულით გამოუშვეს თავიანთი მასწავლებელი, მაგრამ თავს იმით იიმედებდნენ, რომ იგი რძლად გაიხადეს. თბილისში ჩამოსულს თან ჩამოყვა ცხოვრების ცოდნა და სწავლის დიდი სურვილი. აგრონომიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კი სოფლად არ გაუშვეს და დატოვეს თბილისში მისი ქუჩებისათვის, მისი ბაღებისათვის. აგრონომის პირველი სამუშაო დღე ამ ლამაზ პროსპექტზე, რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო — ხელმძღვანელად კი გამოცდილი სპეციალისტი ამირან მაჭავარიანი დახვდა. ეს მაღალი ჭადრები სწორედ ოცდაათი წლისაა და ალისა ფხაკაძე იყო მათი გამხარებელი. ახლა ჭადრები, აბა, რას იტყვიან, მაგრამ ალისამ ხომ იცის, რამდენჯერ იღუპებოდნენ ისინი და მაინც აცოცხლეს.

შემდეგ ქუჩის სკვერებზე ყვავილები აყვავდნენ, მოედნები ლამაზი გაზონებით დამშვენდა, სამკურნალო კომბინატის ეზოს ბაღნარმა ავადმყოფებში სიმშვიდე შეიტანა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ეზოში სიმწვანემ იმატა.

დღეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის გამწვანების კანტორის უფროსს ალისა დარისპანის ასულ ფხაკაძეს ბევრი იცნობს, როგორც ჩვენი ქალაქის გამლამაზებელს, ყვავილების გამხარებელს. ქალაქის ახალ მასივზე საბურთალოში ხედავენ როგორ რგავს იგი ნერგებს, გეგმავს სკვერებს, გაზონებს. გავა დრო, ეს ხეები დაიზრდებიან, როგორც დაიზარდნენ ჭადრები რუსთაველის პროსპექტზე. ხეებს არ ეხსომება, ალისას კი ეცოდინება, რომელი წააქცია ქარმა, რომელს ტოტი მოსტეხა, მაგრამ მაინც გაზარდეს.



ამ სანდომიან ქალს დღეს ბევრი იცნობს. ნაცნობები პატარებს შორისაც არიან, რომლებიც კიროვის პარკში მოჰყავთ უფროსებს. შავტუხა ხუთი წლის ბიჭი მას დეიდა ალისას ეძახის და იცდის, როდის ამოიღებს იგი ჩვეულებრივი შავი ჩანთიდან საკრეჭს, როდის დაიხრება ბუჩქზე და შეასწორებს წამოზრდილ თავებს. მერე ყვავილებს შეავლებს თვალს და მარცხნივ გადაუხვევს. ბავშვს აკრძალული არა აქვს, რომ აქაც აედევნოს. ვინ იცის, იგი მერამდენედ შევა დეიდა ალისასთან ერთად პატარა წნულ ქოხში. ბავშვმა მისგან ისწავლა, რომ ეს არის იმერული ფაცხა, რომ აქ ჰკიდია ნაჭა და ზედ სპილენძის ქვაბია კაუჭით. ფაცხაში დიდხანს არ ჩერდებიან და როცა გარეთ გამოვლენ, ბიჭი წყაროსკენ გარბის, სადაც ხავსიანი კლდეა და შორიახლოს ველური ვარდი. ბავშვმა რა იცის, მაგრამ ალისას აგონდება, როგორ ეზიდებოდნენ ყაზბეგიდან ამ ქვებს, რომ თბილისის პარკში მისგან მთის ბუნებრივი პეიზაჟი შეექმნათ. ეს დიდი მუხა კი მან თოხლაურში აღმოაჩინა, გამხმარი იყო და იქაური მოხუცები ადვილად შეელიენ მის ამოღებას, ის კი დაავალეს აგრონომ-დეკორატორს: ეს მუხა 1.500 წლისაა, ასე უთხარით მნახველთ.

ბავშვი ახლა წინ აღარ უსწრებს დეიდას, უცდის საით გაუხვევს, რომ იქით გაიჭრას. დეიდა მოპირდაპირე მხარეს გადადის და ბიჭი გადაჭრილ ხისგან გაკეთებულ ზურგიან სკამზე მიცოცავს. ალისა დეიდა მას ურჩევს, რომ დაისვენოს და ნუღარ ირბენს. ბავშვი ჭირვეულობს და ძირს ჩამოდის, მასთან დედა მიდის და ტოლებთან სათამაშოდ მიჰყავს.

ბიჭი გაამაყებულია და ზემოდან უყურებს ტოლებს, რომ ის „პარკის გაზრდილი“ (როგორც თვითონ ეძახიან) თავისთან ატარა.

მაგრამ ბიჭი დღეს ატარა დეიდამ, გუშინ კი სხვები დასდევდნენ, გუშინ კი სხვებს უხსნიდა, როდის ყვავის „ნეზაბუტკა“ ან „გელიატროპი“.

ახლა პენსიონერები იწევიან სკამიდან და სალამს აძლევენ ალისა დარისპანის ასულს. სუფთა ჰაერს ხომ არ დაგვიჭერთო, — ეკითხებიან და მის ღიმილზე ჩაფიქრდებიან. როგორ აწყენინეს ამას წინათ პატივცემულ ალისას აგერ იმ სკამზე ჩამომსხდარმა მოხუცებმა, რომლებსაც მორიდებით დაუშალა მან ბანქოს თამაში: პატარები გიყურებენ და მათთვის ეს საზიანოაო. ამაზე ედავენ და გაანაწყენეს ქალი.

იქ, სადაც მაღალი ხეებია, სადაც მზეს უჭირს შეჭრეტა და წვიმაში თავის შეფარება შეიძლება, ალისა შორიდან ამჩნევს ნაცნობ სახეებს, დედებს, რომლებსაც დაჰყავთ შვილები. ამას წინათ აქ გაზონი მოაშლევინა ალისა დარისპანის ასულმა და მშობლები მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს მათი შვილებისათვის გააკეთა კეთილმა ადამიანმა.

ქვიშა კი მათთვის მოატანინა, რომლებიც იქვე ჩაცუცქულან და კასრებს ავსებენ. მაგრამ მას პატარების დიდხანს საყურებლად ახლა არ სცალის და სათბურში ჩადის, მეყვავილეებთან, რომლებსაც წელიწადში 800 ათასამდე ყვავილი გამოჰყავთ.

ქალაქში ერთ-ერთი პოპულარულია კიროვის სახელობის პარკი. ამ პოპულარობაში ალისას ღვაწლიცაა. აქ მოდიან მოხუცები, ხანშიშესულები, უფრო მეტად ახალგაზრდები, მაგრამ ბავშვები მაინც ყველას სჭარბობენ.

ყვავილებივით იზრდებიან ისინი, ყვავილებივით ლამაზები არიან და სასურველნი. რა იციან პატარებმა, რომ დეიდა ალისა ყვავილებს უფრო მეტად მათთვის ახარებს, რომ ყოველი გაშლილი კოკორი მათ თავს აგონებს.

...კიბეებზე დაეშვება ერთი, მეორე, მესამე. გაიქცევიან, ბაღის შუაში სკვერს შემოურბენენ, მერე ჩაცუცქდებიან და თვალებგახელილ „მარგალიტკას“ ჩახედავენ. ალისას ესმის მათი ფიქრი: გვიხარეთ ყვავილები!

ლია კაკაბაძე



მე უყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირი ვარ. ორი წლის წინ ამირჩიეს თავიანთ ხელმძღვანელად თანატოლებმა. ჩემს ბრიგადაში ოცდათერთმეტი კოლმეურნეა. აქედან უმრავლესობა გოგონები ვართ. საშუალო სკოლა დავამთავრეთ და კოლმეურნეობაში მოვედით. მოვედით და ჩვენი ახალგაზრდული ხელი დავატყვეთ კოლექტივს.

შარშან ოცი ჰექტარი სიმინდი დავთესეთ. გეგმით ოცდარვა ცენტნერი იყო გათვალისწინებული ჰექტარზე, ჩვენ ორმოცდახუთის მოყვანა ვივალდებულეთ, სამოცდათხუთმეტი ცენტნერი კი მოვიყვანეთ.

გვაქეს რაიონში, რესპუბლიკაში...

მართლაც და ვისახელეთ თავი. უყვარლის პირობებში ჰექტარზე სამოცდათხუთმეტი ცენტნერი სიმინდის მოყვანა ხუმრობა საქმე როდია.

ჩვენ პირველ გაზაფხულზევე დავიწყეთ სასიმინდე ხნულის დამუშავება. მზრალად მოხნულში წუნწუხი შევიტანეთ, აპრილში კი კვადრატულ-ბუდობრივად დავთესეთ, მერე თვითეული ბუდე შევამოწმეთ. შემთხვევით გამორჩენილ ადგილებში ხელით ჩავთესეთ სიმინდი და ოც ჰექტარ ფართობზე არც ერთი ბუდე არ გავაცდინეთ.

მალე ამოყვეს თავი სიმინდის ღეროებმა. ჩვენც არ დავაყოვნეთ და ძირები გამოვუთოხნეთ. უფრო გათამამდნენ ღეროები და თავთავები ამოიტანეს. ახლა ხელოვნურად დავმტვერეთ.

კარგად ვიცოდით ჩვენი ურწყავი მიწების ამბავი და ამიტომაც მდინარე დურუჯიდან რვა კილომეტრზე გავჭერით არხი. დურუჯი ორჯერ შევუშვით ყანაში და შევბა მივანიჭეთ სიმინდს, იმანაც აიყარა ტანი და დამშვენდა.

ჩვენმა შრომამ და გარჯამ, მინდორში ღია ცის ქვეშ გატეხილმა ღამეებმა და მონდომებამ გაგვიმართლა. ბარაქიანმა მოსავალმა აალაპარაკა კახეთი ჩვენზე, ჩემზე და ჩემს თანატოლ გოგონებზე.

„სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი ხარო“ — მწერდნენ წერილებში კახელი მესიმინდეები. თავი მომაწონეს ამდენი ქებით მეთქი, — ვფიქრობდი. 800 შრომადღეს სხვაც გამოიმუშავებს, ჰექტარ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე 150 ცენტნერ სიმინდს მარცვლად სხვაც მოიყვანს, მთავარია მოინდომოს და გაისარჯოს.

შემოდგომაზე ჩემმა თანამოსაქმეებმა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. მივდიოდი თბილისში და ვფიქრობდი, რა შემეძლო მეთქვა ამ დიდი ნდობის პასუხად. რას ვეტყოდი რესპუბლიკის კომუნისტებს ჩემი ბრიგადის მუშაობაზე. რას ვეტყვი? იმას, რომ შრომასთან ერთად ვსწავლობთ კიდეც. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სპეციალობას ვეუფლებით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

მარინე კუპრაშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და იმის მაგივრად რომ უმაღლესში ესწავლა, ჩვენთან მოვიდა, მხარში ამოგვიდგა და ბრიგადის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარა. მან ერთერზეთოვანი კულტურები გაიპიროვნა მოსავლელად და გეგმით გათვალისწინებული 8 ტონა რეჰანის ნაცვლად 20 ტონა მიიღო.

თამარ მაისურაძემ სიმინდის მოყვანით ისახელა თავი. ერთ ჰექტარზე ოცდარვა ცენტნერის ნაცვლად ასთერთმეტი ცენტნერი სიმინდი მოიწია.

მედიკო წიწრიაშვილი რგოლსაც ხელმძღვანელობს, კარგადაც სწავლობს და შრომაშიც მოწინავეა. გასულ წელს მედიკომ თხუთმეტი ტონა ჭარხალი ჩააბარა სამშობლოს.

თამარ სურამლიშვილმა ჰექტარზე თორმეტი ტონა სიმინდის მარცვალი მოიყვანა. განა საქებარი არ არის? იმასაც ვიტყვი, რომ თამარი მარტო მერგოლეური კი არა, იშვიათი მეგობარიცაა.

დალი ტატულაშვილი კი ბოლოში მოვაქციეთ იმიტომ, რომ ექვს ტონაზე მეტი სიმინდი ვერ მოიყვანა. რატომ? — იქნებ იკითხოთ. ცოდვა გამხელილი სჯობია და გულახდილად გეტყვით: მიზეზი ისევ ჩვენ ვიყავით. დალი ავად გახდა. ჩვენ კი მისი ნაკვეთი მეორედ ვერ მოვრწყეთ. არ გვეპატიებოდა ასეთი უყურადღებობა, მითუმეტეს, რომ ჩვენს ბრიგადაში პირველი დღეებიდანვე „ჩემი" და „შენი" არ გაიყოფა.

საქართველოს კომუნისტების ყრილობაზე ბევრი მოწინავე ადამიანი გავიცანი. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის ცნობილი მესიმინდე-ნოვატორის კოტე სანდუხაძის ბრიგადა კი ჩემი ბრიგადის სახელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიე.

ყრილობის უკანასკნელ დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატთა შორის ჩემი გვარიც დაასახელეს.

ეთერ წიწრიაშვილიო — მომესმა გარკვევით.

დამაბნია მოულოდნელმა სიხარულმა. ამას კი აღარ მოველოდი... ათასჯერ მეტს გავაკეთებ, ღონეს არ დავზოგავ. — ვჩურჩულებდი ჩემთვის...

წელს ადრე დაგვიდგა გაზაფხული ყვარელში.

მინდორ-ველი მწვანით შეიმოსა, თუმცა კავკასიონზე თოვლის ნაგლეჯები ჯერ კიდევ შემორჩა.

მალე საშემოდგომო ხორბალს მოვიმკით. ასოთხმოცი ჰექტარი გვაქვს გაპიროვნებული და თითო ჰექტარზე გვინდა ტონანახევარი ავიღოთ მარცვლად.

ხორბლის გარდა თხუთმეტი ტონა ჭარხლისა და ოცი ტონა ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანაც ვივალდებულეთ.

შარშან ოცი ჰექტარი სიმინდი დავთესეთ, წელს სამჯერ მეტი გავითვალისწინეთ. აპრილში დავთესეთ „აჯამეთის თეთრი" და ახლა თავს დავტრიალებთ: ვთოხნით, მალე მორწყვაც დასჭირდება, მერე ხელოვნურ დამტვერვას მოვახდენთ, კიდევ გავთოხნით, მოვრწყავთ და შემდეგ კი ჩვენი გარჯის ნაყოფს მოვიმკით.

ოთხმოცდაათ ცენტნერ სიმინდის მარცვალს ველოდებით თითო ჰექტარზე.

ვნახოთ!

თ. ქურდოვანიძე

# ერთი ოჯახის შვილები

ისინი ტრიალებდნენ რევოლუციური ბრძოლების შუაგულში, იღწვოდნენ რევოლუციის გამარჯვებისათვის. არალეგალური სტამბის მოწყობა, არალეგალური ბინის მონახვა და დაცვა, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისათვის ზრუნვა, 1905 წლის აჯანყებისათვის მზადება — აი საკითხები, რაზეც მსჯელობდნენ მიხო, მარო და ბაბე ბოჭორიძეები...

ბოჭორიძეების ოჯახი იყო ცნობილი რევოლუციონერების: მ. ცხაკაიას, გ. თელიას, ს. შაუმიანის, ვ. სტურუას, კამოსი და სხვათა თავშესაყარი ადგილი, სადაც კიდევ და კიდევ ეცნობოდნენ ვ. ი. ლენინის დებულებებს: რევოლუციური „პარტიის ასაგებად საჭიროა პროფესიული რევოლუციონერების კადრები, რომლებიც მთლიანად მიეცემოდნენ რევოლუციურ მუშაობას, შეუპოვრად და სისტემატურად გამოიმუშავებდნენ ამისათვის საჭირო თვისებებს" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 586)...

ბოჭორიძეების ოჯახი სწორედ პროფესიულ რევოლუციონერთა ოჯახი იყო.

* * *

ამ წრეში, ამ მაღალმოქალაქეობრივი გრძნობების მქონე ადამიანთა ოჯახში იზრდებოდა პატარა თამარი, შემდეგში



პარტიული მუშაკი — თამარ ჩიტიშვილი-ბოჭორიძე.

...1919 წელია. საქართველოში მენშევიკები ბატონობენ. ბოჭორიძეების ოჯახი შევიწროებულ მდგომარეობაშია. მარო და ბაბე იატაკქვეშ მუშაობენ. თამარი მოწაფის ფორმაშია, სწავლობს. იგი ხშირად ასრულებს არალეგალური ორგანიზაციის დავალებებს. როცა მარო ბოჭორიძე სამუშაოდ ხაშურში გადადის, შაბათ-კვირას გოგონა ყოველთვის დედასთანაა, უკანასკნელი ცნობები მიაქვს თბილისიდან. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი თამარი მუშაობას იწყებს პარტიის თბილისის საგუბერნიო კომიტეტში პოლიტიკური ლიტერატურის განყოფილების გამგედ და ამავე დროს, საქართველოში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთან სერგეი მირონის ძე კიროვთან აკავშირებს კომიტეტს.

ის დილაც ახსოვს თამარს, პირქუში, ჩუმი დილა... შემოდგომის ბუზებივით აიშალნენ მენშევიკების გვარდიელები, დაძრწიან, კომიტეტის წევრებს აპატიმრებენ. წაიყვანეს ვალია ბახტაძე, ვარლამ ძნელაძე და სხვები. კომიტეტის შენობისაკენ აჩქარებული ნაბიჯებით მიეშურება თამარი. მხოლოდ დერეფანში შენიშნა, კომიტეტის ოთახსაც რომ ჩხრეკდნენ. სანდრო თუმანოვმა, რომელიც საწერ მაგიდასა და სეიფს შუა იდგა, ანიშნა თამარს მასთან მისულიყო. გასაღებების ასხმა შეუმჩნევლად გადასცა. თამარმაც არ დააყოვნა, საპირფარეშოში შევიდა... გასაღებები წყალმა წაიღო. კარებს აბრახუნებენ და უყვირიან, მას ოთახიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა. ყველას აპატიმრებენ: სანდრო თუმანოვს, რაჟდენ კალაძეს და მათთან ერთად თამარ ჩიტიშვილ-ბოჭორიძეს.

ციხე პატიმარი ბოლშევიკებით გაივსო. როცა კომიტეტის წევრებმა დანარჩენი ამხანაგების დაპატიმრება გაიგეს, პროტესტის ნიშნად შიმშილი გამოაცხადეს, განსაკუთრებით პატარა თამარის განთავისუფლება მოითხოვეს. ციხის უფროსმა სანდოდ არ მიიჩნია ბოჭორიძეების ასული... და პატიმრობის სამი კვირის შემდეგ, საქართველოდან გადასახლების ბრძანება წაუკითხა.

ორმა მენშევიკმა გვარდიელმა საზღვრამდე მიაცილა იგი. აი საზღვარიც — ფოილოს ხიდი. ხიდზე ორი ბოძია. მათ შუა რამდენიმე ნაბიჯი. პირველ ბოძთან მენშევიკები დგანან, მეორესთან — საბჭოთა აზერბაიჯანის წითელი ჯარისკაცები, მათ ბაქოში მიაცილეს ნატუსაღარი სტუმარი. იქ თამარი შეხვდა კოლია და ვალია ბახტაძეებს. მალე იგი მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის ბაქოს ბიუროში, ტექნიკურ მდივნად.

საქართველოში გაზაფხულს დაასწრო უფრო დიდმა „გაზაფხულმა"... ყველა ესწრაფვის მოზეიმე დედაქალაქის ხილვას. თბილისში მოგროვდა კომიტეტის წევრთა უმრავლესობა.

ბაქოში მყოფი თამარ ჩიტიშვილ-ბოჭორიძე ეშელონის კომისრადაა დანიშნული. ბაქოს შეფარებული ქართველი ოჯახები მან უნდა ჩაიყვანოს თბილისში. ვაჟკაცურ გაძღოლას მოითხოვს საქმე. ეშელონში ასოცდაათი ოჯახი უნდა მოთავსდეს. ძნელია ყველას ჩატევა. თამარის ხელმძღვანელობით თვრამეტი ვაგონი შეადგინეს, ხალიჩებითა და ლეიბებით დაათბუნეს, საწვავი მასალით, სურსათით უზრუნველყვეს და, სამშობლოში გამოემგზავრნენ. ეშელონმა მშვიდობიანად იმგზავრა, ოჯახები უკლებლივ ჩამოვიდა. თამარ ჩიტიშვილ-ბოჭორიძემ თბილისის კომიტეტის მადლობა მიიღო.

ეს სტრიქონები მოგონებების კალენდარის მხოლოდ რამდენიმე ფურცელია... და ამ მოგონებების ავტორს, ჭაღარათმიან, მტკიცე ხასიათის ქალს ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება უნახავს და მაინც გარეგნული სიმშვიდე საუცხოოდ შეუნარჩუნებია. შიგნით კი, გულის სიღრმეში, სულ სხვაა. იქ არის გადატანილი მწუხარების ჩუმი ტკივილი, ჩუმი წვა...

თანმიმდევრობით, თვალის ერთი გადავლებით მისი ცხოვრების ყველა ფურცელს მივყვები... მოწაფის ფორმა და რევოლუციური საქმიანობა; ციხე და გადასახლება; მახლობლების იატაკქვეშეთი და რევოლუცია; მოსკოვში სწავლის წლები და მძიმე ავადმყოფობა; საზღვარგარეთ წლობით მუშაობა (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყოველთვის პასუხსაგებ პოსტებზეა); სამშობლოში დაბრუნება; მახლობლების სიკვდილი...

ამჟამად ოჯახში მარტოა. საყვარელი ადამიანები მხოლოდ ფოტოსურათებიდან იყურებიან: სახელოვანი ბიძა, მშობლები, მეუღლე, ბებია. ეს სურათები ძვირფას მოგონებებს აღუძრავენ ღირსეულ მემკვიდრეს — თამარ ჩიტიშვილ-ბოჭორიძეს, რომელსაც მარტოობა არ უყვარს, ხალხშია, რომელიც წარსულის მოგონებით არ კმაყოფილდება, ყოველთვის საქმიანობაშია, ახალგაზრდობაში ტრიალებს, მათი აღზრდის საქმეს ემსახურება.

**ირმა ჩოფიკაშვილი**

# რა დაავიწყებს



შორს დარჩა მყუდრო ოჯახი, ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკის ორდინატურა, საყვარელი თბილისი, მშვიდობიანი ცხოვრება.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე ოლია გველესიანი სანიტარულ ბატალიონში მოხვდა. უაღრესად მძიმე პირობებში, ცეცხლის ხაზზე, საარტილერიო კანონადის დროსაც კი შეუსვენებლად ტრიალებდა იგი საოპერაციო მაგიდასთან. ვინ იცის, რამდენი ასეული მეომარი დაიხსნა სიკვდილისაგან მისმა ხელმა!

ყირიმის ფრონტი. სახელდახელოდ გაკეთებულ საოპერაციო მაგიდაზე წევს ოფიცერი ჩვიდმეტი ჭრილობით, გადამტვრეული ხელითა და ფეხით. ყუმბარის ნამსხვრევებით გულ-მკერდში, თავში, ფეხებში. მდგომარეობა მეტად რთულია. მის სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ემუქრება. ფრთხილად, დაკვირვებით, უდიდესი გულმოდგინებით დატრიალებს თავს ახალგაზრდა ქირურგი ოლია გველესიანი. აი, ამოუჭრა მუცელი, ამოუღო ყუმბარის უამრავი ნამსხვრევი, ხელ-ფეხი თაბაშირში ჩაუდგა და თვითონაც ამოისუნთქა.

ხუთი წუთის შემდეგ კი ყუმბარამ შეაზანზარა საოპერაციო. ექიმი დაჭრილს გადაეფარა. ბედად ორივენი გადარჩნენ.

კვლავ საოპერაციო ოთახი. მთელი დღის ნამუშევარი, უსმელ-უჭმელი ექიმი ძლივს იდგა ფეხზე. ძალად გამოიყვანა მზარეულმა დოროფეევმა საჭმელად. ის იყო ლუკმა ჩაიდო პირში და... მის წინ ყუმბარამ მოკლა მზარეული.

რამდენჯერმე დაიჭრა მამაცი ქალიშვილი. განკურნებული კვლავ სხვის განკურნებას განაგრძობდა. კვლავ თავისი სიცოცხლის რისკით იცავდა სხვების სიცოცხლეს, თავისი წვლილი შეჰქონდა საყვარელი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ახლა ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის) რაიონის მშრომელთა სიცოცხლეს დარაჯობს ოლია გველესიანი, რაიონული საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას განაგებს და ჩვეული ენერგიითა და გულისხმიერებით ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას, მუდამ გულმოდგინედ აკეთებს სხვადასხვა სახის ოპერაციებს, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩვენს ქვეყანაში, სადაც შრომა დიდებისა და გმირობის საქმეა, მას დაფასებაც აქვს. ოლია გველესიანის ღვაწლიც არ დარჩენილა აღუნიშნავი — მას საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიენიჭა. ის დღეები კი, ომის მძიმე დღეები მაინც დარჩა მის მახსოვრობაში, და როგორც ყველა დედა, ისიც მხოლოდ მშვიდობიან ცხოვრებაში ხედავს თავის შრომის აზრს.

**ქეთევან სახვაძე,**
ორჯონიკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქციაში მოვიდა წერილი

# სიტყვა თქვენ გეკუთვნით

**წერილი, ახლა რომ წაიკითხავთ, ეკუთვნის ქალს, რომელმაც არ ისურვა საჯაროდ თავისი ვინაობის გამხელა.**

**ამ წერილის დაბეჭდვას ის არ აპირებდა. უბრალოდ, უნდოდა ჩვენთვის — რედაქციისათვის გაეზიარებინა თავისი გულისტკივილი.**

**ჩვენ მას ვესაუბრეთ და შემდეგ გადავწყვიტეთ ამ ქალის ოჯახური ცხოვრება გაგვეხადა მსჯელობის საგნად. არა იმიტომ, რომ ამ ოჯახში რაღაც არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული უბედურება ტრიალებს... არა! განსაკუთრებული აქ არაფერია. ასეთი რამ, სამწუხაროდ ხშირად ხდება: ადამიანი, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირე შენი ბედი, წლების გავლის შემდეგ არამცთუ დაგიახლოვდა, არამედ უფრო უცხო გახდა შენთვის, ვიდრე გაცნობის პირველ დღეს.**

**გაუგებრობა. საშინელი კედელი, რომლის გადალახვა ზოგჯერ შეუძლებელი ხდება. უღიმღამო დღეები, უკმაყოფილებასა და ჩხუბში გატარებული. ფუჭად ჩავლილი ცხოვრება, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო და უნდა ყოფილიყო კიდეც დაულეველი ბედნიერების წყარო.**

**— როგორ მოვიქცე? — სიმწრით ხელებს იფშვნეტდა ქალი.**

**როგორ მოიქცეს! ვიფიქროთ ერთად.**

**სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ჩვენო მკითხველებო.**

ამ წლის იანვრის ნომერში მე თქვენს ჟურნალში წავიკითხე წერილი — „ახალდაქორწინებულნი“. ძალიან საჭირო წერილია. ის ყველამ უნდა წაიკითხოს, ვინც აპირებს ოჯახს მოჰკიდოს ხელი.

წერილში განსაკუთრებით აქვს ხაზი გასმული იმას, თუ რა აუცილებელია არსებობდეს ურთიერთგაგება ცოლ-ქმარს შორის.

7 წელია ერთად ვცხოვრობთ. ჩემის აზრით, ეს უკვე საკმაოდ დიდი პერიოდია, რომ ადამიანი გაიცნო, გაუგო, შეეგუო, ან დარწმუნდე, რომ შეგუება შეუძლებელია.

იქნებ მე ვცდები, იქნებ მეტისმეტს მოვითხოვ მისგან. გთხოვთ დამეხმაროთ.

არც ლოთია, არც მოღალატე, არც იჭვიანი, არც ხმას აუწევს, უწმაწური სიტყვები, რა თქმა უნდა, არ სჩვევია.

უყვარს უსაფუძვლო საყვედურების თქმა, ბუზღუნი, გაუთავებელი შენიშვნები. მასთან საუბარი შეიძლება მხოლოდ ძლიერ საჭირო საქმეზე, ისიც მისი შეკითხვის პასუხად და რაც შეიძლება მოკლედ. მისი თანდასწრებით არ შეიძლება აღფრთოვანდე, სიხარული გამოვამჟღავნო, ოცნების მსგავსიც კი არაფერი არ უნდა წამომცდეს, თუ მინდა, რომ მისი უკმაყოფილება და მკაცრი გამოხედვა არ დავიმსახურო და არ მოვისმინო სიტყვები: „კარგი, კარგი, ფანტაზიებში ნუ გადავარდები...“

თუ ხასიათზე არ არის (და თითქმის ყოველთვის ასეა), რაც არ უნდა საჭირო რამ ვთქვა, მივიღებ პასუხს: „გაიწი იქით!“ „შენ შენი საქმე აკეთე!“ „აბა, კარგი ახლა!“ „ბევრს ნუ ლაპარაკობ!“ (სათანადო გამომეტყველებით, ცხადია).

მტკიცედ სჯერა, რომ ქალებს საერთოდ ბევრი და ზედმეტი ლაპარაკი სჩვევიათ და ფხიზლად არის, რომ მის ოჯახში ასეთმა „უბედურებამ“ არ მოიკიდოს ფეხი. სახლში თითქმის მუნჯურ ცხოვრებას ვეწევი, მაგრამ ხომ არის ზოგჯერ აუცილებელი ორი სიტყვის თქმა მაინც; ის ორი სიტყვაც ცუდად ეჩვენება და ზოგჯერ ამას მოყვება მთელი ლექცია, რომ ის ასე კი არ უნდა თქმულიყო, არამედ სხვანაირად.

რაგინდ მონდომებით და სულით და გულით არ უნდა გავაკეთო სადილი, გავრეცხო სარეცხი თუ დავაუთოვო, დასაწუნებელს მოუნახავს.

სამსახურიდან ერთდროულად ვბრუნდებით. ის წამოწვება და გაზეთის კითხვას დაიწყებს, მე შევუდგები სადილის კეთებას. ცხადია, თუ გაზეთი მისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა, მას სადილის მზადების დრო უფრო ხანგრძლივად მოეჩვენება, ვიდრე მე, საქმეში გართულს, თუმცა შიმშილი მეც მაწუხებს, მაგრამ ვჩქარობ და საქმით დაკავებულს მარტო ჩემს თავზე საფიქრალად არ მცალია. მხოლოდ უსიამოვნო წინათგრძნობა მდევს, რადგან ვიცი, რომ ამას ბუზღუნი და საყვედურები მოჰყვება.

თუ ვუსაყვედურებ — ასე რად იქცევითქო, ის კიდევ უფრო მეტად აღშფოთდება და შემომთავაზებს გაყრას, ანდა იტყვის — გავიტანოთ საზოგადოებაში ჩვენი ამბავი, ვიკითხოთო.

საზოგადოებას კი, ესეიგი ჩვენს ნაცნობმეგობრებსა და ნათესავებს — ჩემს უბრალო და მარტივ მოთხოვნას — ვიყოთ ერთიმეორის მიმართ თავაზიანი, გულისხმიერი, სათუთი და არა უხეში და უსულგულო, უთარგმნის ისე, თითქოს მე მოვითხოვ: სუფრაზე მარილს დავდგამ — მაკოცოს, პურს დავჭრი — მაკოცოს და ასე შემდეგ.

როდესაც ვთხოვე ბავშვებთან მაინც არ იბუზღუნოს და აგდებულად არ მიპასუხოს, სთქვა: „აბა, ახლა იმას ვუყურო ბავშვები აქ არიან თუ არა?!.. მაგათ გულისთვის თავს ვერ შევიზღუდავ. შენ ის გაწუხებს, რომ მერე მათაც არ მოგმართონ უხეშად, შენი საკუთარი „მე“ გაწუხებს“.

ბავშვები კი იზრდებიან, ვხედავ ისინიც უხეშდებიან, ნერვიულები ხდებიან.

„მე პრაქტიკული კაცი ვარ, ზედმეტ ემოციებს ვერ ვიტან“, — აი მისი ახსნა.

წესრიგს მოითხოვს მკაცრად, დაცვა კი არ უყვარს. თუ მივუთითებთ, რომ ახლად გაწმენდილ იატაკზე პაპიროსის ნამწვები ან ტალახი ყრია, ის მიპასუხებს, „აბა, როგორ? შენ გინდა ერთხელ დაალაგო, სულ ისე იყოს და მერე საქმე აღარ გქონდეს?!“

მას საზოგადოებაში სურს ჩვენი ამბის გატანა, საზოგადოების აზრი აინტერესებს, ამიტომ გწერთ. რა საჭიროა ნაცნობებმა იმსჯელონ ჩვენზე? ჯერ ერთი, თავმოყვარეობა მაწუხებს. მაინც არ მინდა ყველამ იცოდეს რა „ბედნიერი ცხოვრება“ მაქვს, და შემდეგ, ჩვენზე ნაცნობებს სხვანაირი წარმოდგენა აქვთ და არ შეიძლება მიუდგომლად იმსჯელონ, ჩემი ამხანაგები მე გამამართლებენ, იმისი — მას...

...ეს წერილი ერთი თვის წინ დავწერე. გამოგზავნაზე კი თავი შევიკავე. ჩემმა უახლოესმა მეგობარმა მითხრა: „ვის გააკვირვებ შენი ამბით? ზოგიერთ ოჯახში იმდენად უარესი ამბებიც ხდება, რომ ჩვენი ჟურნალის რედაქციაში შენმა წერილმა შეიძლება, უკეთეს შემთხვევაში, თავშეკავებული ღიმილი გამოიწვიოს“. მე მას იმ წუთშიც არ დავეთანხმე, მაგრამ წერილის გამოგზავნა მაინც შევაჩერე.

როგორ არა, არსებობს უარესიც, მაგრამ ჩვენ ხომ უარესის მიხედვით არ უნდა ვიმსჯელოთ! ხომ არსებობენ უკეთესები და ხომ უნდა ვეცადოთ ვიყოთ ისეთი.

დღეს ჩვენი დამოკიდებულება უკიდურესად დაძაბულია.

იანვარში გრიპით გავხდით ავად. სიცხე 39° მქონდა, მაგრამ სიცხიან ბავშვებს მოვლა უნდოდა და მის სამსახურიდან დაბრუნებამდე დაწოლა ვერ შევძელი. დაიგვიანა.

— ხომ იცი, ყველა ავად ვართ, ნუთუ არ შეგეძლო ადრე თუ არა, დროულად მაინც დაბრუნებულიყავი, — ვუსაყვედურე.

— კრება მქონდა, ვერ გავაცდენდიო, — მიპასუხა მშრალად.

ვიცი, არცერთი არ ეტყოდა უარს კრებიდან განთავისუფლებაზე, თუ კი ის თავის მდგომარეობას აუხსნიდა, მაგრამ...

გავუწყე სუფრა და მე წამოვწექი.

— კი მაგრამ, რომ დაწექი, მე ყურადღების მოქცევა აღარ მჭირდება?! იქნებ თეფშის გამოცვლა დამჭირდა, ან ჩაის დასხმა?..

გამახსენდა: რვა თვის ხელმოწერილი ვიყავით. მე უკვე მალე ბავშვს ველოდი. გავცივდი და სიცხემ ამიწია. ექიმმა მომცა ბიულეტენი და დაბეჯითებით მირჩია დაწოლა, რომ მდგომარეობა არ გამრთულებოდა.

მეორე დილით მარტო დავრჩი. ცოტახნის შემდეგ ავწრიალდი, გულმა მაინც არ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისვენა: სამსახურიდან რომ დაბრუნდება, სადილი ხომ უნდა!

დაბრუნდა სამსახურიდან.

— მარტო ბოსტნეული?! — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა.

— ხორცი ახლოს არსად იყო, შორს კი ველარ წავედი.

— რომ გდომოდა, — ყველაფერს შეძლებდი, — მიპასუხა, — არ გინდოდა და თავი არ შეიწუხე.

მე გაოცებისა და აღშფოთებისაგან ენა დამება. მოველოდი რომ მისაყვედურებდა— რატომ ადექიო, რომ გაგირთულდეს მერე რას ფიქრობო... მითუმეტეს, ის შესვენებაზე წარმოების სასადილოში სადილობდა ყოველთვის.

ათი დღე ვიავადმყოფე.

— რა ქალი ხარ, ვერ გამიგია! უმაღლესი განათლება მიგიღია და პასუხის მოცემა არ შეგიძლია, ტირიხარ! — მითხრა მაშინ.

და აი, უკვე რამდენიმე წელია ვისწავლე საპასუხოს თქმა და ზოგჯერ ძალიან უხეშადაც.

ამ რამდენიმე დღის წინ სტუმრად წავიდა ნათესავთან. ღამის თერთმეტის ნახევარზე დავწექი და მოვიდა კიდეც.

— ადექი, ადექი, მე საჭმელი მინდა.

ავდექი, გავუცხელე, გავუწყე. გამოვედი და დაწოლა რომ დავაპირე, — არ დაწვე, წამოდი და დაჯექი ჩემთან ერთადო.

— მე არ მშია, — ვუპასუხე.

— მერე რა, ისე უნდა იჯდე!

მისმა ტონმა გამაღიზიანა.

— მე ხომ არ გაიძულებ იჯდე, როცა არ გშია?

— განსხვავებას ვერ ხედავ? მე ქმარი ვარ.

განსხვავებას? როგორ არ ვხედავ! მე რომ ვრეცხავ, შენ წამოგორებული გაზეთს კითხულობ, მე რომ ვაუთოვებ, შენ ისევ წევხარ. მე რომ ბავშვებს ვბან, შენ ისევ წევხარ (ან ჭადრაკის რომელიმე პარტიას არჩევ, ერთობი). მე რომ ოთახს ვალაგებ, შენ კვლავ წევხარ, მე რომ საჭმელს ვამზადებ, შენ ისევ ისვენებ, სუფრას რომ ვშლი, შენ უსიამოვნოდ ახელ თვალებს ჩემს სიტყვებზე — საჭმელად მოემზადე-თქო. მე რომ ჭურჭელს ვრეცხავ, შენ კვლავ წამოწოლილი კითხვას ან ძილს აგრძელებ.

— ეგ ყველაფერი შენი საქმეა და აბა ვინ უნდა გააკეთოს? ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ ქალად დაიბადე!

სამსახურში ერთად მივდივართ და თუ ერთად არ ვბრუნდებით, შენ ან კრება გაქვს, ან ჭადრაკის სათამაშოდ რჩები. ნუთუ ეს განსხვავება საკმარისი არ არის, რომ კიდევ ზედმეტს მოითხოვ? ისეთი ტკბილი ადამიანი რომ იყო გვერდზე როცა მოგიჯდები შენც ისეთ სასიამოვნო საუბარს გამიბამ, რომ დამთავრება დამენანება, შეიძლება დიდი ხალისითაც გამეკეთებინა ეს, მაგრამ ვიცი: დავჯდები და დაიწყება საყვედურები, ბუზღუნი, შენიშვნები. მერე შეიძლება მეც გითხრა უკვე სხვადროსაც ნათქვამი: კი, მაგრამ, ის (რომელიმე ამხანაგის სახელი) რატომ არ არის ასე უკმაყოფილო თავისი ცხოვრების? ნუთუ ისიც ასე ებუზღუნება თავის ცოლს ყოველ წუთში? შემდეგ შეიძლება შენც მიპასუხო. ისევე როგორც სხვა დროსაც გითქვამს — „ის სხვა ქალია!“

უნდა გაექცე ასეთ ცხოვრებას ერთხელ და სამუდამოდ, მაგრამ ბავშვები? შეიძლება როდისმე მისაყვედურონ: შენ თუ ვერ ეგუებოდი, ჩვენ მაინც მამას რად გვიკარგავდი, ჩვენი გულისთვის უნდა აგეტანაო! ამიტომ თავს ვიკავებ. ქმარი კი ხშირად მთავაზობს:

— გავიყაროთ, ჩვენი ერთად ცხოვრება არ მოხერხდება. არაფერი არ გამოდის, ვერ ხედავ! არ გახსოვს, რას მწერდა ჩემი და: იმ კაცს კიდევ უცემია თავისი ცოლი, კიდევ დამთვრალა! მე ხომ ასეთს არაფერს ვაკეთებ, შენ კი ამას არ აფასებ!

ახლაც მომცა ასეთი წინადადება და ამჯერად უკვე მე ყოველმხრივ ვეცდები დავუჭირო მხარი მის განხორციელებას.

იმ დღეს მე არ შევასრულე მისი ბრძანება, მან კი იმის შიშით, რომ შეიძლება ჩანგალი დაუვარდეს და მეორის გამოღება იყოს საჭირო კარადიდან, მე კი იქ არ ვიქნები, ვერ ივახშმა.

ხუმრობა ხომ არ არის, აღარ შეუძლია კაცს ასეთი „აუტანელი ცხოვრების“ ატანა!

მე კი მგონია, რომ ჩემზე უფრო აუტანლად მას არაფერი არ ეჩვენება.

სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ძვირფასო რედაქციავ!

ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი, ვთქვი ყველაზე უფრო უმნიშვნელო, მაგრამ ამითაც შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შეგექმნათ.

# ჩვენი საოჯახო ჟურნალი

## როგორ ჩავიცვათ

# ახალი ტანსაცმელის შეძენა

თქვენ, ალბათ, შეგინიშნავთ, რომ ყველაზე კოხტად ჩაცმული ხშირად ის არ არის, ვინც დიდ სახსრებს ხარჯავს თავის ჩაცმა-დახურვაზე.

ზოგჯერ ნაკლები შეძლების ქალს უფრო კოხტად და გემოვნებით აცვია, ვიდრე მას, ვისაც ძალიან ბევრი ჩასაცმელი აქვს.

და იბადება კითხვა: განა ყველაზე ძვირიანი ნივთი ამავე დროს ყველაზე კარგიც არის?

მართალია, რომ უმეტესად მაღალფასიანი

ჰკითხეთ თქვენს დედებს, დიდედებს და ისინიც უსათუოდ დაგიმოწმებენ, რომ წინათ აბრეშუმისა და შალის კაბა თითქმის მიუწვდომელი ოცნება იყო ქალების დიდი უმრავლესობისთვის. ხოლო უფრო შეძლებულ ოჯახებში იაფი ქიშმირის ან ასეთივე იაფი ატლასისგან შეკერილ საქორწინო კაბას დედები სასოებით ინახავდნენ სკივრებში და შემდეგ თავიანთ ქალიშვილებს გადასცემდნენ, როგორც უძვირფასეს საჩუქარს.

თქვენს კარადაში კი, ჩვენო მკითხველებო, უეჭველად ჰკიდია აბრეშუმის და შალის კაბა და უნდა ვიფიქროთ, არა მხოლოდ ერთი. თქვენ მეტი საშუალება გაქვთ ხშირად გაიახლოთ ტანსაცმელი, შეიძინოთ ახალი, იმიტომ, რომ თქვენი შეძლებულობა გაიზარდა. ხალხის კეთილდღეობის ამაღლებამ, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მიღწევებმა საშუალება მოგვცა ჩავიცვათ უფრო კოხტად, ლამაზად და ზომიერად — მოდაზეც.

ტანსაცმელი ძვირფასი, გამძლე ქსოვილისგანაა შეკერილი. მისი ეს თვისება, ე. ი. გამძლეობა, ყველა შემთხვევისათვის რომ გადამწყვეტი იყოს, მაშინ ყველა მყიდველი ასეთი ქსოვილის შეძენას ეცდებოდა.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ გამძლეობა არ არის აუცილებელი ნიშანდობლივი თვისება ყველა და ყოველგვარი ტანსაცმლისათვის. განა ისე საჭიროა გამძლეობა ჰქონდეს. დავუშვათ, საქუდე ქსოვილს, ჰალსტუხს ან ხელოვნურ ყვავილს, გულზე დასაბნევად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ვხმარობთ? ამ საგნებს ჩვენ ხომ გაცვეთამდე არ ვატარებთ, არამედ ახლით ვცვლით, როცა ისინი პეწს კარგავენ ან მოდიდან გადადიან!

განა მიზანშეწონილია ძვირფასი და მკვიდრი ქსოვილისაგან ბავშვის ტანსაცმლის შეკერვა? ეს ტანსაცმელი ხომ გაცილებით უფრო ადრე გამოდის წყობიდან, ვიდრე ცვდება, რადგან ბავშვი იზრდება და მასში ველარ ეტევა!

ან რა აზრი ექნება საზაფხულო სპორტული კაბების, სარაფნების, საბანაო კოსტუმების, ხალათების, ბლუზების და სამუშაო ტანსაცმლის ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერვას? ასეთი ქსოვილი ხომ მეტწილად რეცხვას ვერ იტანს, ხშირი წმენდისაგან კი ფუჭდება.

ჰოდა, აი ,ასეთ შემთხვევაში ჩითს ან რაიმე იაფფასიან ხელოვნურ ქსოვილს ნამდვილად დიდი უპირატესობა აქვს ძვირფას აბრეშუმთან. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კარგად იწმინდება და ირეცხება და გარდა ამისა, ასეთი ქსოვილი აბრეშუმზე უფრო კოხტად დგას და განიერი ქვედატანისათვის პირდაპირ შეუდარებელია.

ღირს თუ არა ძვირფასი ტანსაცმლის ყიდვა, როცა მას ძალიან უცხო, თვალისათვის შეუჩვეველი ფასონი, ფერი, მოხატულობა აქვს და ამიტომ, ცოტა არ იყოს, თვალშისაცემია? ჩვეულებრივ, ასეთი ტუალეტი ჩქარა გვბეზრდება, მოდიდანაც გამოდის და გაცვეთამდე ვაგდებთ.

არსებობს სხვადასხვა აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩაცმულობის ძირითადი საგნები — პალტო და ბეწვის ქურქი, ან: შევიკეროთ თუ არა პალტო ძალიან ძვირფასი და გამძლე ქსოვილისაგან, რომ დიდხანს ვატაროთ, შემდეგ კი გადავაკეთოთ, თუ უფრო იაფფასიანის ყიდვა ვამჯობინოთ, რომ არ მოგვბეზრდეს, ხშირად გამოვიცვალოთ და კვლავ ახალი შევიძინოთ?

რომელს მივანიჭოთ უპირატესობა—ძვირფას თუ იაფფასიანს? — ამ საკითხს ყველა ოჯახი თავისებურად წყვეტს, ცხოვრების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

მაგრამ ასეა თუ ისე, თუ თქვენ უპირატესობას მაინც ძვირფას ნივთებს ანიჭებთ და გსურთ რაც შეიძლება დიდხანს ატაროთ, შეარჩიეთ უფრო სადა და მკაცრი ფასონები, რომლებიც არც თუ ისე მკვეთრად და არც ისე ხშირად იცვლება მოდის ზეგავლენით. თანაც, უბრალო და მკაცრი ხაზები შედარებით დიდხანს ინარჩუნებენ მოხდენილობასა და ელეგანტურობას.

სამწუხაროდ, არ არსებობს სპეციალური წესები იმისა, თუ როგორ ჩავიცვათ კარგად და იაფად. მაგრამ არსებობს ერთი წესი, რომლის ცოდნა ყველასთვის აუცილებელია, ვისაც სურს თავისი გარდერობი შეადგინოს და გეგმიანად დახარჯოს ჩაცმისთვის განკუთვნილი თანხა — არასოდეს არაფერი არ ვიყიდოთ წინასწარ დაფიქრებისა და აწონდაწონვის გარეშე.

სანამ ახალი ტანსაცმლის ყიდვას გადაწყვეტდეთ, განსაზღვრეთ — რამდენად აუცილებელია ის თქვენთვის, ნამდვილად გაკლიათ და გჭირდებათ ეს ნივთი, თუ შეგიძლიათ უმისოდაც იოლად წახვიდეთ, ხოლო ამ ფულით სხვა, თქვენთვის უფრო საჭირო ტანსაცმელი შეიძინოთ, რომლის უქონლობა ძალიან გაწუხებთ.

მოიფიქრეთ: მოუხდება თუ არა თქვენი ახალი ტანსაცმელი ჩაცმულობის დანარჩენ საგნებს — იმას, რაც უკვე გაქვთ; რამდენად პასუხობს ის თავის დანიშნულებას, იმ გარემოს, რომელშიც თქვენ ის უნდა ატაროთ, ხშირად იხმართ თუ არა.

ნამდვილად ღირს, დაფიქრდეთ — რამდენად გადაუდებელია თქვენი საყიდელი. ხომ არ სჯობს ცოტახნით შეიცადოთ, რომ მეტი ფული მოაგროვოთ და ისეთი ნივთი იყიდოთ, რომელიც ყოველმხრივ აკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნილებას?

შეიძლება, ტანსაცმელი — მაგალითად, ნაქსოვი ბლუზა, — არ უხდება ქვედატანს, რომელიც თქვენ გაქვთ, მაგრამ მომავალში აპირებთ სხვა ქვედატანის შეძენას. ამ ბლუზის ყიდვა თქვენთვის იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ შესაფერ ქვედატანს ნამდვილად იყიდით ან შეიკერავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ახალნაყიდი ტანსაცმელი შეიძლება უდროო და უსარგებლო გამოდგეს.

ძვირფასი კაპრონის კაბა კარადაში ჩამოკიდებული დაგრჩებათ და თქვენ მას ვერ იხმართ, თუ ამ დროს მხოლოდ დაბალქუსლიანი დახურული ფეხსაცმელი, ან ბეწვმოვლებული ზამთრის ფეხსაცმელი გაქვთ. ისინი ხომ არაფრით არ მოუხდება თქვენს კეკლუც კაბას!

ხშირად იბადება კითხვა: სად აჯობებს კოსტუმის ან კაბის შეძენა — მაღაზიაში ყიდვა თუ ატელიეში შეკვეთა?

ბევრის აზრით, შეკერვა ჯობს, რადგან შეგიძლია თვითონ აირჩიო ფასონი, ქსოვილის სახე და ფერი, რომელიც გიხდება. ამავე დროს, სპეციალურად შეკერილი ტანსაცმელი (რა თქმა უნდა, თუ ის კარგმა ხელოსანმა შეკერა) უფრო კოხტად დგას ტანზე, ვიდრე მზა, რომლის შეკერვისას არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ყველა ქალის აღნაგობის თავისებურება.

მაგრამ, სამაგიეროდ მაღაზიაში ტანსაცმელს უცბად ყიდულობ (თუ კარგს იშოვნი, რაც — ჩვენი სამკერვალო ფაბრიკებისადმი საყვედურით უნდა აღვნიშნოთ — არც ისე ხშირად ხდება), დროს არ ხარჯავ ძოზომებებზე. გარდა ამისა, მზად ნაყიდი უფრო იაფიც ჯდება, ვიდრე ატელიეში შეკერილი. და თუ თქვენს ტანს განსაკუთრებული ნაკლი არა აქვს, თქვენ ყოველთვის შესძლებთ ნაყიდი ტანსაცმლის მორგებას.

ასე რომ, ორივე გადაწყვეტილებას აქვს თავისი დადებითი მხარე.

ხომ არ აჯობებდა ტანსაცმელი თვითონ შევვეკერა? — ფიქრობს ზოგი. მაგრამ მოსამსახურე ქალს ხშირად დრო არ რჩება იმისათვის, რომ კერვა რიგიანად შეისწავლოს. ჰოდა, გაჭირვებით ნაცოდვილარი ტანსაცმელი ნამდვილად ვერ გამოვა ისეთი, რომ ღირდეს მასზე შრომის, დროისა და ქსოვილის დახარჯვა.

მაგრამ თუ ქალს კერვა უყვარს, კარგი გემოვნება და სათანადო მონაცემებიც აქვს, რა თქმა უნდა, მან კერვა უნდა ისწავლოს. მაღაზიებში იყიდება მზა თარგები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევს ქალს და შრომას გაუიოლებს. ამ მზა თარგით ადვილად შეიკერება ხალათი, საშინაო კაბა, სარაფანი, ქვედატანი, ბავშვის ტანსაცმელი და სხვა.

ჭრა-კერვის დაუსწრებელი სწავლება, რომელიც მეორე წელია ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შემოვიღეთ, ასევე დაეხმარება ქალს კერვის დაუფლებაში.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: ხელს ნუ მოჰკიდებთ ზევიდან მოსაცმელი ტანსაც-



მლისა და ძვირფასი, გამოსასვლელი ტუალეტების კერვას — ეს პროფესიულ დაოსტატებას, ხელისა და თვალზომის განსაკუთრებულ სიზუსტეს მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების, სარემონტო და სამკერვალო სახელოსნოების საკმაოდ ფართო ქსელი არსებობს, ის მაინც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. თანაც ყოველთვის არ ხერხდება კაბის, საცვლებისა და წინდის დროზე მიცემა შესაკეთებლად.

ამიტომ, დასაშვებია, რომ თქვენ არ იცოდეთ კერვა, მაგრამ წინდის ამოკემსვა, ნაკერის დადება, პერანგის საყელოს და სამაჯურების გამოცვლა და თვალის ამოყვანა აუცილებლად უნდა შეგეძლოთ. ეს არა მარტო აუცილებელია, არამედ სასარგებლოც: მთელი დღის ფუსფუსისა და დაძაბულობის შემდეგ საქმიანობის შეცვლა ერთგვარ განმუხტვას იძლევა.

მოდამ შემოიტანა ჩვენს ტანსაცმელში სხვადასხვა ნაქსოვები: ქალის, მამაკაცის და ბავშვის ჯემპრები, ჟილეტები, შარფები, ხელთათმანები, ქუდები. მათი ფერადოვნება აცოცხლებს ჩვენს ყოველდღიურ ტანსაცმელს და გვიხალისებს განწყობილებას. ისწავლეთ ქსოვა. ეს არც ისე რთული ამბავია, დასვენებისთვისაც კარგია და ოჯახისთვისაც სასარგებლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# როგორ დავკიდოთ წიგნის თაროები

ახლა ჩვენში სულ უფრო და უფრო იზრდება საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნის მსურველთა რიცხვი. ზოგჯერ, როცა წიგნები ბევრი გვიგროვდება, ერთი კარადა აღარ გვყოფნის, ორის და სამის ერთ ოთახში მოთავსება კი რთული ამბავია. სწორედ ამ შემთხვევაში დაგვეხმარება წიგნის სექციური თაროები.

როგორ ჯობს წიგნის თაროების განლაგება?

ხშირად თაროებს კედელზე, სიმაღლეზე, ერთმანეთის ზემოთ ამწკრივებენ, ხანაც ერთიმეორის გვერდით ჰკიდებენ. ეს არის საკითხის ყველაზე უბრალო, მაგრამ ყველაზე უგემოვნო გადაწყვეტა.

უკეთესი იქნება თაროები ისე დავკიდოთ, რომ ზოგჯერ მათ შორის შუალედი დავტოვოთ, სადაც მოვათავსებთ კერამიკულ ნაწარმს, ყვავილებიან ლარნაკს, სურათებს, საათს, რადიომიმღებს.

ჩვენს მიერ მოცემულ სურათებზე ნაჩვენებია თაროების განლაგების რამდენიმე ვარიანტი.

თაროები შეიძლება იატაკზეც მოთავსდეს. თუ თაროებს იატაკზე ათავსებენ, მაშინ ქვედა რიგი ხის ჩარჩოზე უნდა დაიდგას, რომლის სიმაღლე 3-4 სანტიმეტრი იქნება. შეიძლება თარო 10-12 სანტიმეტრი სიმაღლის ხის ან თუნუქის ფეხებზე შეიდგას. ეს გაგვიადვილებს თაროს ქვეშ იატაკის გაწმენდას სახლის დალაგებისას.

კედელზე, სადაც თაროები უნდა დაიკიდოს, უმჯობესია გაეკრას ნეიტრალური ფერის შპალერი ვერტიკალური გეომეტრიული ნახატით.















წიგნის თაროები ჩვენ თვითონაც შეგვიძლია გავაკეთოთ. ნახაზებზე ნაჩვენებია ელემენტები, რომლებიდანაც შეგვიძლია თაროს შედგენა. თაროების ნაწილი შეიძლება შევმინოთ, შეიძლება ღია დავტოვოთ. თაროს ზედა და ქვედა ჩარჩოების კიდეზე ჩაიჭრება მინის ჩასაყენებელი კილო (პაზი).

გემოვნებით შედგენილი და განლაგებული წიგნის თაროები ძალიან ამშვენებს ოთახს და ამავე დროს დიდ მოხერხებულობას ჰქმნის ახალ მცირეფართობიან ბინებში.

გარეკანზე—
„მშვიდობის მტრედები".
მხატვარი ლ. შენგელია.

რედაქტორი თ. აბაშიძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სახარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 690 უე 03227

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

# ჩავაზაფხულთ



აისია... ბნელში მდგარი მთები ახლად იბადება,
მერე მთელ დღეს აქ ყველაფრის მზერით იწვის, იდაგება,
ყვავილებით იბადება, ყვავილებით იბარდნება...
ყოველ დილით ეს ვაჟკაცი მთები ახლად იბადება.
მთები ლამეგათეული, მთები გულებანთებული,
მჯერა მხოლოდ სილამაზე და სიმაღლე ამ მთებური...
ველებს, ვრცელებს სასიცოცხლოდ ყველაფერი აბადიათ,
ნაბადია ვრცელი ველი, მწვანე ფერით ნაბარდნია.
აისია და ვგრძნობ ირგვლივ ყვავილების დაბადებას...
დაბლა დგება სურნელება, ცაში ისმის აბა დელა...
შორს კი თითქოს მთაა ზღვაში აშვებული იალქანი, —
დგება ნელი ნიავქარი და იალქანს მიაქანებს.
...ახლა იცის, ახლა ხდება ხოლმე თავის დავიწყება,
თვალს აახელ, ქართლის მთების სიყვარული დაიწყება...
დაიწყება — დაიწვები... დაწვა აღარ დასრულდება,
იწვი მიწით, ცით და ფიცით, ჭაბუკებით, ასულებით.
ნაბადია ვრცელი ველი, მწვანე ფერით ნაბარდნია...
გმადლობთ ცაო, მიწავ, რადგან თქვენი თავი მაბადია.

ლელა შალვაშვილი

## დე, დაილოცოს!

რაიც ამ ქვეყნის არის გზა-კვალი,
რასაც სიკეთედ ამ ქვეყნად ვხედავთ,
დე, დაილოცოს მუხის აკვანი,
ჩვილის პირველად ნათქვამი: «დედა».
დე, დაილოცონ ხელები გამრჯე,
მზის ღიმილი და სითბო მამულის,
ვინც სასიკეთო სიძლიერებს აჩენს,
სიამის ცრემლით თვალდანამული.
დე, დაილოცოს ჩიტთა ჟღურტული,
მიწის მადლი და წვიმის სიუხვე,
ჩვენი ქართული ტკბილი ურმული
მუდამ სწვდებოდეს მაღალ ჭიუხებს.
დე, დაილოცოს ცაში აფრენა,
ჩვენში ბევრია არწივის მართვე,
დე, დაილოცოს კაცის მარჯვენა,
მზესავით ყველგან რომ აფენს ნათელს.
დე, დაილოცოს ჩვენს ქვეყანაში
ამ გაზაფხულის შემობრძანება,
ქალი, როგორც მზე თოვლის კაბაში,
მკლავმაგარი და მაყვალთვალება.
მიწას დააჩნდეს ჩვენი გზა-კვალი,
რიჟრაჟის ღიმილს ვუმღეროთ მეტად,
დე, დაილოცოს მუხის აკვანი,
ჩვილის პირველად ნათქვამი «დედა».

ლია ჭავჭავაძე



## ი ს ე...

ისე ღელავენ ატმის კვირტები,
და იძირება ქუჩები მზეში,
ისე მღერიან ახლა ჩიტები
აპრილის თვეში.
ისე თბილია ახლა იები,
ისე მაღალი არის მთაწმინდა,
წვიმის მკლავები ისე ძლიერნი,
ისე ნაზი და ისეთი წმინდა...
ისე მღერიან ახლა ჩიტები,
მიკვირს ეს დილა როგორ იტევდა,
ისე ხარხარებს ახლა კვირტები,
რომ ვაკვირდები.

ცისანა მელუა

## ჩემო მამულო

ჩემი გულის და სიმღერის სარჩო
შენი სიტკბოთი სავსე თასია;
შენს ზღაპრულ ველზე შობილ ყაყაჩოს
ჯერ ფეროვნება არ გადამსვლია...
შენზე მღერიან სხვებიც საამოდ,
შენი ალვების ხმებით სტკბებიან,
შენს სალერწმეთში გათლილ სალამურს
ჯერ მე სიმღერა არ დამკლებია!..
გულზე იხატავ მზის ნაფეხურებს,
შენი შვილები მზისკენ მიჰქრიან...
შენი სიცოცხლის ალალ შემყურეს,
ჯერ მე სიკვდილზე არც მიფიქრია...
როს ჩამიქრება სინათლე თვალთა
და სამუდამოდ დამეძინება,
შენს მკერდში ვითხოვ სამარის გათხრას,
დედავ, მკერდი თუ არ გეტკინება!..

მარიამ იოჰამაშვილი

* * *

ახლა რა გიყო! ხომ გითხარ:
ამოსულიყავ მაღლა და
არ წაგიღებდა ჩანჩქერი,
არც მარტოობა დაგღლიდა.
გაგეხსნებოდა გულმკერდი,
პირდაპირ დიდი მთა არის,
სიცოცხლე დაგიტკბებოდა,
სიცოცხლისთანა რა არის!
დაგაძინებდნენ ნუკრები,
აქ წყაროც ისე ცივია!—
ჩამონადენი ცვარ-ნამი
მთაში დაყრილი მძივია.

* * *

ფრთხილად, ფრთხილად კვირტებო,
ახლო ისმის ხმაური,
ნუთუ არ გეყურებათ
მარტის აურზაური?
ისევ ცივა და თქვენ კი
გულის წადილს დანებდით,
ჯერ ღრუბლები დაცურავს
ცაზე ნაბდიანები.
ფრთხილად, ფრთხილად კვირტებო!

* * *

ეს გაზაფხული ხომ გიხარია,
პატარა ია?
წყაროს უყვარხარ—მისი ცრემლები
შენი ბრალია.
სუ, არ იმღერო, გარემო სთვლემს,
ეშხით მთვრალია.
ცა შენებრ ლურჯი, მკერდგახსნილია,
პატარა ია!

გალინა ქინქლაძე

## სამშობლოს

მიყვარს შენი მაღნარებში,
შენი ვენახებში,
შენს მკერდიდან გადმონადენ
სიცოცხლის ვეწაფები.
მე ყურს ვუგდებ შენს უბეში
სურნელოვან ფშვინვას,
დღეს მშვიდობის გაზაფხულმა
უფრო დაგამშვენა.
მიყვარს შენი ათასფერად
მოქარგული მკერდი,
რომ შემებლოს შენს დიდებას
ზეცას დავაწერდი.

ქლარა ჩიხლაძე,
მუშა.

